პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 178 (9646) | ხუთშაბათი, 30 ივლისი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელი, მთელი პროგრესული კაცობრიობა ალნიშნავს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 50 წლისთავს.

გაუმარჯოს ჩვენს დიად, მშობლიურ კომუნისტურ პარტიას! ლენინიზმის დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით — წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ორმოცდაათი წელი

ნახევარი საუკუნის წინ, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მეორე ყრილობაზე საფუძველი ჩაეყარა მუშათა კლასის მებრძოლ რევოლუციურ მარქსისტულ პარტიას, ახალი ტიპის პარტიას, რომელმაც ჩვენი ხალხი მიიყვანა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამდე, შექმნა პროლეტარიატის დიქტატურა, შეგნებული ისტორიული შემოქმედებისათვის დარაზმა ჩვენი სამშობლოს მშრომელთა მრავალმილიონიანი მასები, უზრუნველყო სოციალისტური საზოგადოების აშენება და მტკიცედ მიჰყავს საბჭოთა ხალხი წინ, კომუნიზმისაკენ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის ინსტიტუტის მიერ გამოქვეყნებულ თეზისებში „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ორმოცდაათი წელი (1903-1953)“ გაშუქებულია ნახევარი საუკუნის გმირული გზა, რომელიც ჩვენმა პარტიამ განვლო მეორე ყრილობიდან დღემდე.

„ბოლშევიზმი, — წერდა ვ. ი. ლენინი, — როგორც პოლიტიკური აზროვნების მიმდინარეობა და როგორც პოლიტიკური პარტია 1903 წლიდან არსებობს“. მეორე ყრილობაზე წარმატებით დაგვირგვინდა დიდი ლენინის ჭეშმარიტად ტიტანური ბრძოლა რუსეთში რევოლუციური მუშათა პარტიის შექმნისათვის. მეორე ყრილობის ისტორიული მნიშვნელობა ის არის, რომ მან შექმნა რუსეთში ნამდვილი მარქსისტული პარტია იმ იდეურ და ორგანიზაციულ საწყისებზე, რომლებიც ლენინურმა „ისკრამ“ წამოაყენა და შეიმუშავა. მარქსისა და ენგელსის გარდაცვალების შემდეგ ყრილობამ საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ისტორიაში პირველად მიიღო რევოლუციური პროგრამა, რომელშიც ძირითად ამოცანად წამოყენებული იყო პროლეტარიატის დიქტატურისათვის ბრძოლა.

ვ. ი. ლენინის ბრძოლამ ყრილობაზე ოპორტუნისტული ელემენტების წინააღმდეგ პროგრამულ და ორგანიზაციულ საკითხებზე მიჯნა გაავლო რსდმპ რევოლუციურ ნაწილსა — ბოლშევიკებსა და ოპორტუნისტულ ნაწილს — მენშევიკებს შორის. პრაღის კონფერენციამ 1912 წელს გააძევა პარტიიდან მენშევიკი-ლიკვიდატორები და საფუძველი ჩაუყარა ბოლშევიკების საბოლოოდ ჩამოყალიბებას დამოუკიდებელ პარტიად. პროლეტარული პარტიის გაწმენდას ოპორტუნისტებისაგან, მენშევიკ-ლიკვიდატორებისაგან გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა პარტიის შემდგომი განვითარებისათვის, მისი რიგების ერთიანობის განმტკიცებისა და პროლეტარიატის დიქტატურის მოპოვებისათვის.

კომუნისტური პარტიის დიდი დამაარსებლისა და ბრძენი ბელადის ლენინის სახელი განუყოფელად არის დაკავშირებული ჩვენი პარტიის მთელ ისტორიასთან, მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის წარმოშობასა და განვითარებასთან. ლენინის სახელი მთელი მსოფლიოს მშრომელთა დროშა გახდა მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის საქმისათვის, ხალხთა ნათელი მომავლისათვის ბრძოლაში.

გენიალურმა ლენინმა პირველად მარქსიზმის ისტორიაში შეიმუშავა მოძღვრება პარტიის, როგორც პროლეტარიატის ხელმძღვანელი ორგანიზაციის, როგორც პროლეტარიატის ხელში ძირითადი იარაღის შესახებ, ურომლისოდაც შეუძლებელია მოვიპოვოთ პროლეტარიატის დიქტატურა, ავაშენოთ სოციალიზმი და კომუნიზმი.

ჩვენი ქვეყნის მშრომელები მრავალი წლის ისტორიული გამოცდილებით დარწმუნდნენ, რომ ყველა პოლიტიკური პარტიებიდან, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში არსებობდნენ, მხოლოდ კომუნისტური პარტია არის ნამდვილი სახალხო პარტია, რომელიც მშრომელთა საარსებო ინტერესებს გამოხატავს. ამიტომ არის, რომ ჩვენმა ხალხმა თავისი ბედიღბალი კომუნისტურ პარტიას მიანდო, არ შეცდა ამაში და მიაღწია მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებებს კომუნიზმის მშენებლობის გზაზე.

კომუნისტური პარტია ხალხის ფართო მასების მშობლიური და მახლობელი პარტიაა. ჩვენმა პარტიამ ნახევარი საუკუნის მანძილზე ხალხისადმი თავდადებული და გმირული სამსახურით უსაზღვრო სიყვარული, ერთგულება და ნდობა დაიმსახურა. პარტიისა და მისი ხელმძღვანელობის უძლეველობის საფუძველია მასებთან განუყოფელი კავშირი. ჩვენი პარტიის უძლეველობა ის არის, რომ იგი გამოხატავს ხალხის მასების საარსებო ინტერესებს, ეყრდნობა მასებს მთელ თავის მოღვაწეობაში.

კომუნისტური პარტია დიდი წარმატებით ასრულებს საბჭოთა ხალხის ბელადისა და ორგანიზატორის როლს. პარტიის მთელი გმირული მოღვაწეობა გამსჭვალულია ხალხისადმი, მშრომელთა რევოლუციური ენერგიისადმი ურყევი რწმენით. პარტია იმ ერთადერთ სწორ აზრს ეყრდნობა, რომ ჰუშები და გლეხები, რომლებიც ცხოვრების ყველა სიკეთეს ქმნიან, ისტორიის ნამდვილი შემოქმედნი არიან. პარტიის ძალაა მისი ურღვევი კავშირი ხალხთან, ხალხის ძალაა მისი დარაზმულობა მშობლიური კომუნისტური პარტიის ირგვლივ.

კომუნისტური პარტიის მთელი ისტორია მშრომელთა განთავისუფლებისათვის, სოციალისტური ცხოვრების შექმნისათვის თავდადებული ბრძოლის ისტორიაა. პარტიამ გამოატარა ჩვენი ხალხი რუსეთის სამი რევოლუციის ქარაშხალში. იგი გამტკიცდა და გამოიწრთო მემამულეების, კაპიტალისტების, კულაკების და მუშათა მოძრაობაში მათი აგენტურის — ესერების, მენშევიკების, ანარქისტების, ბურჟუაზიული ნაციონალისტების წინააღმდეგ ულმობელ ბრძოლაში.

კომუნისტურმა პარტიამ ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, ვ. ი. ლენინის საქმის დიდი განმგრძობის ი. ბ. სტალინის მეთაურობით გაანადგურა გამცემლები და კაპიტულანტები — ტროცკისტები, ბუხარინელები, ნაციონალ-უკლონისტები და სხვა მტრები, — დაიცვა ლენინიზმი და უზრუნველყო ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური საზოგადოების აშენება. სოციალიზმის გამარჯვების ბაზაზე განვითარდნენ და განმტკიცდნენ საბჭოთა საზოგადოების ისეთი მძლავრი მამოძრავებელი ძალები, როგორიც არის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა, საბჭოთა პატრიოტიზმი.

საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის დღეებში პარტია გამოვიდა როგორც ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ საყოველთაო-სახალხო ბრძოლის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი და უზრუნველყო ჩვენი ხალხის მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება.

ომისშემდგომ წლებში კომუნისტური პარტიის მიერ შთაგონებულმა და დარაზმულმა ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა უმაგალითოდ მოკლე ვადაში აღადგინეს სახალხო მეურნეობა, წინ წასწიეს საბჭოთა ეკონომიკის, ტექნიკისა და კულტურის ყოველი დარგი და ამჟამად წარმატებით აშენებენ კომუნიზმს.

კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლაში უდიდესი ნიშანსვეტია პარტიის XIX ყრილობა, რომელმაც შეაჯამა საბჭოთა ხალხის ბრძოლისა და გამარჯვებათა შედეგები და დასახა ჩვენი ქვეყნის წინსვლის დიადი პროგრამა.

საშინაო პოლიტიკის დარგში კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მთავარი ამოცანაა საბჭოთა ადამიანების განუწყვეტლივ მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილება. ჩვენი პარტიის პოლიტიკის მიზანია მუშებისა და კოლმეურნეების კავშირის, ჩვენი ქვეყნის ხალხთა ერთიანობისა და მეგობრობის შემდგომი განმტკიცება.

კომუნისტური პარტია, აძლიერებს რა იდეოლოგიურ მუშაობას, აღმოფხვრის პარტიული პროპაგანდის პრაქტიკიდან ისტორიაში პიროვნების როლის საკითხის არასწორ, არამარქსისტულ გაშუქებას, პიროვნების კულტის თეორიის მავნე პროპაგანდას, რაც ეწინააღმდეგება პარტიული ხელმძღვანელობის უმაღლეს პრინციპს — ხელმძღვანელობის კოლექტიურობას.

პარტია მოითხოვს, რომ პროპაგანდისტულ მუშაობაში აღმოიფხვრას მარქსისტულ-ლენინური თეორიის შესწავლისადმი მედავითნური, დოგმატური მიდგომა. პარტია ყველა კომუნისტისაგან მოითხოვს ესმოდეთ მარქსიზმ-ლენინიზმის შემოქმედებითი ხასიათი, მტკიცედ შეითვისონ მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის რევოლუციური მოძღვრების არსი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად ჩვენი პარტიის წინაშე დგას ლენინის მიერ შემუშავებული პარტიული ხელმძღვანელობის პრინციპებისა და პარტიული ცხოვრების ნორმების განუხრელად შესრულების ამოცანა. კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოს მუშაობას. ეს არის ურყევი წესი. მისი ოდნავი დარღვევა ასუსტებს პარტიის გავლენას, ზიანს აყენებს სახელმწიფოს. ხელმძღვანელობს რა ლენინურ-სტალინური მოძღვრებით სახელმწიფოს შესახებ, პარტია დაუცხრომლად განამტკიცებს საბჭოთა სახელმწიფოს, აძლიერებს საბჭოთა ადამიანების რევოლუციურ სიფხიზლეს შინაური და გარეშე მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში.

საგარეო პოლიტიკის დარგში კომუნისტური პარტიის მთავარი საზრუნავია ის, რომ მტკიცე ბრძოლა აწარმოოს მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის. პარტიას თავის მოვალეობად მიაჩნია დაიცვას და განამტკიცოს მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკი, დაუცხრომლად განამტკიცოს საბჭოთა ხალხის მეგობრული ურთიერთობა სხვა ქვეყნების მშრომელებთან, მარადიული და ურღვევი მეგობრობა დიდ ჩინელ ხალხთან, სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყნის მშრომელებთან.

აღნიშნავენ რა ჩვენი პარტიის შექმნის ორმოცდაათი წლისთავს, საქართველოს პარტიული ორგანიზაციები კიდევ უფრო განამტკიცებენ პარტიულ ხელმძღვანელობას პარტიისა და სახელმწიფო აპარატის ყველა რგოლში, ებრძვიან პარტიული ხელმძღვანელობის პრინციპებისა და პარტიული ცხოვრების ნორმების ზუსტად დაცვისათვის, პარტიის წესდების მოთხოვნათა დაცვისა და პარტიულ ხელმძღვანელობაში კოლექტიურობის პრინციპის მტკიცედ გატარებისათვის.

საქართველოს პარტიული ორგანიზაციები ენერგიულ ბრძოლას ეწევიან იმ დიდი ნაკლოვანებების ბოლომდე აღმოსაფხვრელად, რასაც წლების მანძილზე ადგილი ჰქონდა ჩვენს რესპუბლიკაში ხალხის უბოროტესი მტრის ავანტიურისტ ბერიას დანაშაულებრივი ანტიპარტიული, ანტისახელმწიფოებრივი მოქმედების შედეგად.

საქართველოს პარტიული ორგანიზაციები კიდევ უფრო ამჟღავნებენ თავის რიგებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინურ-სტალინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო და მისი ნაკადი ბრძნული ხელმძღვანელობით რაზმავენ რესპუბლიკის მშრომელებს კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზული პროგრამის წარმატებით შესრულებისათვის.

პარტიის მეორე ყრილობა ისტორიული მობრუნების პუნქტი იყო რუსეთისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ისტორიაში. რუსეთის მუშათა კლასის მოწინავე ძალებმა დიდი ლენინის მეთაურობით გვიჩვენეს მუშათა კლასის რევოლუციური პარტიისათვის ბრძოლის უბადლო მაგალითი. განვლილი ნახევარი საუკუნის მანძილზე ჩვენმა პარტიამ შეიძინა ბრძოლის უმდიდრესი გამოცდილება. ეს გამოცდილება, მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი იდეები მთელი მსოფლიოს მშრომელებს უნათებენ სოციალიზმისა და დემოკრატიისათვის ბრძოლის გზას.

მშობლიური კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, მისი საბრძოლო ნაკადი ლენინური დროშის გარშემო მჭადროდ დარაზმული საბჭოთა ხალხი ქმნის თავის დიად ისტორიულ საქმეს.

პარტიის, მთავრობისა და ხალხის მჭიდრო ერთიანობით ჩვენი ქვეყანა ძლევამოსილად მიდის წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ.



ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი

ჩვენი ქვეყანა აღნიშნავს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სახელოვან 50 წლისთავს

მოსკოვი

მოსკოვის მშრომელნი დიდი ინტერესით ეცნობიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის ინსტიტუტის თეზისებს „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ორმოცდაათი წელი (1903-1953)“.

დიდი პოლიტიკური აღმავლობით მიმდინარეობს საუბრები და თეზისების წაკითხვა ძერჟინსკის სახელობის კომბინატ „ტრიოხგორნაია მანუფაქტურის“ საამქროებში. კომბინატის უძველესმა კადრის მუშა ქალმა კომუნისტმა აგრიპინა პეტრეს ასულმა ეაროვამ თქვა:

— ჩვენ სიხარულითა და სიამაყით აღვნიშნავთ ჩვენი კომუნისტური პარტიის ორმოცდამეათე წლისთავს. მან, ჩვენმა საყვარელმა და მშობლიურმა პარტიამ, მიიყვანა საბჭოთა ხალხი აყვავებულ ბედნიერ ცხოვრებამდე. ჩვენ არ გვეშინია არავითარი დაბრკოლებისა, რადგან ვიცით, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას განუხრელად მივყავართ კიდევ უფრო ნათელი მომავლისაკენ — კომუნიზმისაკენ.

მოსკოვის სახელმწიფო ისტორიულ ბიბლიოთეკაში გაიხსნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ორმოცდამეათე წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა. გამოფენის მასალები ახასიათებენ რევოლუციური მოძრაობის ზრდას რუსეთში XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში, მოგვითხრობენ ლენინურ გაზეთ „ისკრის“ მნიშვნელობაზე პარტიის ძალების გაერთიანებაში, მათ დარაზმვაზე მარქსისტული პროგრამის მქონე მებრძოლ პროლეტარულ პარტიად. ვიტრინებზეა ვ. ი. ლენინის შრომები. აქ წარმოდგენილია რსდმპ მეორე ყრილობის მასალები — სიტყვები, რეზოლუციები. საინტერესოა რუკა, რომელიც გვიჩვენებს — ჩვენი ქვეყნის რომელი ქალაქებიდან გამოგზავნეს ყრილობაზე რსდმპ პარტიულმა ორგანიზაციებმა თავიანთი დელეგატები. გამოფენის დასკვნითი განყოფილება მიძღვნილია თემისადმი: „კომუნისტური პარტია კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა საზოგადოების დამრაზმავი და შთამაგონებელი ძალაა“.

ლენინგრადი

ლენინგრადის მუშები, მოსამსახურეები, ყველა მშრომელნი დიდ ინტერესს იჩენენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის ინსტიტუტის თეზისებისადმი „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ორმოცდაათი წელი (1903-1953)“.

28 ივლისს სასადილო შესვენების დროს კიროვის ქარხანაში, ფეხსაცმლის ფაბრიკა „სკოროხოდში“, ხართავ-საქსოვ ფაბრიკა „რაბოჩში“, ქარხანა „კრასნი ვიბორჟეცში“ და ქალაქის სხვა საწარმოებში წაკითხულ იქნა თეზისები, რომელშიც მოკლედ არის გაშუქებული ნახევარსაუკუნოვანი გმირული გზა, რაც განვლო კომუნისტურმა პარტიამ იმ მომენტიდან, როცა იგი რსდმპ მეორე ყრილობაზე შეიქმნა.

28 ივლისს ბევრი მნახველი იყო. ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის ლენინგრადის ფილიალში. ქალაქის მშრომელები, ექსკურსანტები ჩელიაბინსკიდან, გორკიდან, რიგიდან და სხვა ქალაქებიდან ეცნობოდნენ მასალებს, დოკუმენტებს, ფოტოებს, რომლებიც ასახავენ რსდმპ მეორე ყრილობის მომზადებისა და ჩატარების პერიოდს.

კიევი

კიევის მშრომელები აღნიშნავენ რსდმპ მეორე ყრილობის ორმოცდამეათე წლისთავს.

უკრაინის კომპარტიის კიევის საოლქო და საქალაქო კომიტეტების ბიბლიოთეკაში გახსნილია გამოფენა „რსდმპ მეორე ყრილობის ორმოცდამეათე წლისთავისათვის“ გამოფენაზე წარმოდგენილია ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის შრომები, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის მასალები და სხვა დოკუმენტები. აქვე ექსპონირებულია საილუსტრაციო მასალები.

ბიბლიოთეკის სამკითხველოს დარბაზში ბევრი ხალხია. აქ მოდიან აგიტატორები, პროპაგანდისტები, მეცნიერები, პარტიული და საბჭოთა მუშაკები, რათა გაეცნონ რსდმპ მეორე ყრილობის მასალებს.

ასეთივე გამოფენები გახსნილია მოლოტოვის, პოდოლსკის და პარტიის სხვა რაიკომების ბიბლიოთეკებში, ქალაქის ბევრი საწარმოსა და დაწესებულების ბიბლიოთეკებში.

მინსკი

მინსკის, გომელის, ვიტებსკის და ბელორუსიის სხვა ქალაქების საწარმოებში მიმდინარეობს საუბრები და წაკითხვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის ინსტიტუტის თეზისებისა „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ორმოცდაათი წელი (1903-1953)“. აგიტატორები დამსწრეთ უამბობენ რსდმპ მეორე ყრილობის ისტორიული მნიშვნელობის შესახებ, პროლეტარიატის დიქტატურისათვის, ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის კომუნისტური პარტიის ბრძოლის შესახებ.

გომელის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის მექანიკურ საამქროში საუბრის დროს მღარავმა ამხ. შაფრანოვმა თქვა:

— სიამაყით წავიკითხე თეზისები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 50 წლისთავის შესახებ. ამ დოკუმენტში გაშუქებულია ჩვენი მშობლიური პარტიის სახელოვანი ნახევარი საუკუნის ისტორია. საბჭოთა ხალხმა მისი წინამძღოლობით შესანიშნავი გამარჯვებანი მოიპოვა. ღირსშესანიშნავ თარიღს მე შევხვდი წლის დავალების შესრულებით. პირობას ვიძლევი ვიმუშაო კიდევ უკეთესად, უფრო ენერგიულად.

ბელორუსიის ვ. ი. ლენინის სახელობის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში გაიხსნა პარტიის მეორე ყრილობის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ლიტერატურის გამოფენა.

გაქო

ნავთობსარეწებში, ნავთობგადამმუშავებელ ქარხნებში და ქალაქის სხვა საწარმოებში აგიტატორები აცნობენ მუშებს თეზისებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 50 წლისთავის შესახებ. პარტიის შუამთანის რაიკომის ბიბლიოთეკაში გაიხსნა გამოფენა წიგნებისა და მასალებისა, რომლებიც ასახავენ რუსეთში მუშათა კლასის რევოლუციური პარტიის შექმნისათვის ბრძოლას. ვიტრინებშია ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის თხზულებანი, რსდმპ მეორე ყრილობის მასალები, გაზეთები რუსულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე თეზისებით „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ორმოცდაათი წელი (1903-1953)“.

ამ დღეებში გაძლიერდა მნახველების მისვლა არალეგალურ სტამბა-მუზეუმში „ნინა“, სადაც იბეჭდებოდა ლენინური „ისკრა“. სტალინის სახელობის აზერბაიჯანის პარტიული ორგანიზაციის ისტორიის მუზეუმში უურადღებას იქცევს დარბაზები, რომლებშიც შეერებილია დოკუმენტები და მასალები რსდმპ მეორე ყრილობის შესახებ.

პარტიის ბაქოს საქალაქო კომიტეტის ბიბლიოთეკაში გაიმართა ლექტორების, მომხსენებლებისა და აგიტკოლექტივების ხელმძღვანელთა კრება, რომელზეც მოსმენილ იქნა საინსტრუქციო მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 50 წლისთავის შესახებ,

ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობებმა თავთავიანი კულტურების მოსავლის აღების გეგმა მეასრულეს

საქართველოს კომპარტიის ლაგოდეხის რაიკომის მდივანი ამხ. გ. მირიანაშვილი და მშრომელთა დეპუტატების რაიისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ტ. ჩიკვაიძე იტყობინებიან, რომ ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობებმა 25 ივლისისათვის შეასრულეს თავთავიანი კულტურების მოსავლის აღების გეგმა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 50 წელი

1903 — 1953

ჩვენი მშობლიური, დიადი კომუნისტური პარტია

პარტიის ისტორიის ღირსშესანიშნავი მოვლენა

I.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გმირულ ისტორიასა და მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მეორე ყრილობას. ყრილობამ საფუძველი ჩაუყარა რუსეთში მუშათა კლასის მარქსისტული პარტიის — ახალი ტიპის პოლიტიკური პარტიის არსებობას.

გენიალური ლენინის მიერ შექმნილმა საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ, რომელიც გაიზარდა და გამოიწრთო ბრძოლებში ლენინის, ლენინის მოწაფისა და მისი საქმის განმგრძობის დიდი სტალინის და მათი თანამებრძოლების ხელმძღვანელობით, უდიდესი ისტორიული გზა განვლო, მიგვიყვანა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამდე, სსრ კავშირში პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებამდე და სოციალიზმის აშენებამდე.

XX საუკუნის დამდეგისათვის მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის ცენტრი გადმოდის რუსეთში, რომელიც გახდა იმპერიალიზმის ყველა წინააღმდეგობის საკვანძო პუნქტი, სამხედრო-ფეოდალური, კოლონიური და კაპიტალისტური ჩაგვრის კერა. აქ მწიფდებოდა რეალური ძალა, რომელსაც უნარი შესწევდა დაემხო მემამულეთა და კაპიტალისტთა ბატონობა და აეშენებინა სოციალიზმი. რუსეთში იწყებოდა უდიდესი სახალხო რევოლუცია. მას სათავეში ედგა მსოფლიოში ყველაზე რევოლუციური პროლეტარიატი, რომელიც გლეხობასთან კავშირში გამოდიოდა. რევოლუციას, რომელიც რუსეთში მწიფდებოდა, იმპერიალიზმის ეპოქის პირველ რევოლუციას, უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა ჰქონდა.

ცარიზმის, შემდეგ კი კაპიტალიზმის დამხობის დიდი ისტორიული ამოცანის გადაწყვეტა შეიძლებოდა მხოლოდ რევოლუციური მარქსისტული პარტიის შექმნის საშუალებით. ასეთი პარტიის, ახალი ტიპის პარტიის შექმნის ამოცანა ბრწყინვალედ გადაწყვიტეს რუსეთის რევოლუციონერმა მარქსისტებმა ლენინის მეთაურობით.

გადამწყვეტი როლი პარტიის იდეურ და ორგანიზაციულ დარაზმვაში, II ყრილობის მომზადებაში ეკუთვნის ლენინურ „ისკრას“. მის ფურცლებზე და განსაკუთრებით წიგნში „რა ვაკეთოთ?“ ლენინმა გაანადგურა „ეკონომისტების“ შეხედულებანი, მათი ქედმოხრა სტიქიურობის წინაშე და მუშათა მოძრაობაში სოციალისტური შეგნების დამცირება, პროლეტარიატის დიქტატურისათვის, სოციალიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაზე უარისთქმა. ვ. ი. ლენინმა ცხადყო მუშათა კლასის ბრძოლაში რევოლუციური თეორიის უდიდესი მნიშვნელობა, პოლიტიკური პარტიის, როგორც მუშათა კლასის ბელადის, აუცილებლობა, დაასაბუთა უმნიშვნელოვანესი დებულება იმის შესახებ, რომ მარქსისტული პარტია არის მუშათა მოძრაობის შეერთება მეცნიერულ სოციალიზმთან, შეიმუშავა მარქსისტული პარტიის იდეოლოგიური საფუძვლები. **„მოწინავე მებრძოლის როლის შესრულება,** — წერდა ლენინი, — **შეუძლია მხოლოდ ისეთ პარტიას, რომელიც მოწინავე თეორიით ხელმძღვანელობს“** (იხ., ტომი 5, გვ. 461-462).

საერთაშორისო ოპორტუნიზმის ნაირსახეობის — „ეკონომიზმის“ იდეოლოგიის განადგურებამ, ლენინური პრინციპების გამარჯვებამ და ლენინის ორგანიზაციული გეგმისათვის „ისკრის“ წარმატებებმა ბრძოლამ მოამზადა იმის საჭირო პირობები, რომ რუსეთში მარქსისტული პარტია შექმნილიყო.

რსდმპ მეორე ყრილობა გაიხსნა 50 წლის წინათ, 1903 წლის 17 (30) ივლისს.

ყრილობის მთავარი ამოცანა ის იყო, რომ შეექმნა რევოლუციური მარქსისტული პარტია ლენინური „ისკრის“ მიერ შემუშავებულ პროგრამულ, ტაქტიკურ და ორგანიზაციულ დებულებათა საფუძველზე.

ყრილობაზე უმნიშვნელოვანესი საკითხები იყო პარტიის პროგრამისა და წესდების მიღება. პროგრამის პროექტი მოამზადა „ისკრის“ რედაქციამ. პროგრამაში ცენტრალური ადგილი ეკავა დებულებას პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ, რომელიც ლენინმა შეიტანა

ამის შედეგად ყრილობამ ხმების დიდი უმრავლესობით დაამტკიცა „ისკრის“ რედაქციის მიერ შემუშავებული პროგრამა, რევოლუციურ-მარქსისტული პროგრამა, რომლის მსგავსიც არც ერთ პარტიას არ ჰქონდა. ამ პროგრამამ იარსება პარტიის VIII ყრილობამდე.

მიიღო რა პროგრამა, მეორე ყრილობამ შექმნა იდეური საფუძველი პარტიის ერთიანობისათვის. მაგრამ მარქსიზმის პრინციპებით რევოლუციურ მუშათა იდეური გაერთიანება — აღნიშნავდა ლენინი — უნდა განმტკიცდეს იმ ორგანიზაციის მატერიალური ერთიანობით, რომელიც მილიონობით მშრომელს რაზმავს მუშათა კლასის არმიად თავისი ინტერესებისათვის საბრძოლველად. ამ ორგანიზაციის ძირითად პრინციპებს განსაზღვრავს და განამტკიცებს პარტიის წესდება.

წესდების საკითხზე მომხსენებელი იყო ვ. ი. ლენინი. წესდების განხილვის დროს ყრილობაზე ერთმანეთს შეეჯახა ორი გეზი, პარტიის აგების ორი გეგმა. ლენინის გეგმაში დასაბუთებული იყო ახალი ტიპის პარტიის, როგორც მუშათა კლასის მოწინავე რევოლუციური თეორიით შეიარაღებული მოწინავე ორგანიზებული რაზმის, აგების ორგანიზაციული პრინციპები. პარტია, აღნიშნავდა ლენინი, აგებული უნდა იყოს ცენტრალიზმისა და რკინისებური დისციპლინის საწყისებზე, დისციპლინისა, რომელიც თანაბრად სავალდებულოა როგორც რიგითი წევრების, ისე ხელმძღვანელებისთვისაც. პარტიის ძალაა მისი ერთიანობა და ოპორტუნიზმის ყოველგვარი გამოვლინებისადმი შეურიგებლობა. ლენინმა პირველმა შეიმუშავა მოძღვრება პარტიის, როგორც პროლეტარიატის ხელმძღვანელი ორგანიზაციის, პროლეტარიატის დიქტატურისათვის ბრძოლაში მისი ძირითადი იარაღის შესახებ.

მარტოვი და მისი მომხრენი ცდილობდნენ ყრილობისათვის თავს მოეხვიათ ისეთი წესდება, რომლის საფუძველზეც შესაძლო იქნებოდა II ინტერნაციონალის პარტიების მსგავსი რეფორმისტული პარტიის შექმნა.

პარტიის წესდების პირველი პარაგრაფის მიღების დროს მომხდარი გადგომა კიდევ უფრო გაღრმავდა ხელმძღვანელი ორგანოების — პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური ორგანოს არჩევნების დროს. არჩევნებში ლენინის მომხრეებმა ხმების უმრავლესობა მიიღეს, ცენტრალურ კომიტეტში შევიდნენ რევოლუციური უმრავლესობის წარმომადგენლები. ამრიგად განმტკიცდა ლენინისა და მის მომხრეთა გამარჯვება ოპორტუნისტებზე. ამ მომენტიდან ლენინის მომხრეებს დაერქვათ ბოლშევიკები, ხოლო ოპორტუნისტებს, მარტოვის მომხრეებს — მენშევიკები.

II ყრილობის ისტორიული მნიშვნელობა ის არის, რომ ამ ყრილობაზე გაიმარჯვა მარქსისტული პარტიის იდეოლოგიურმა პრინციპებმა, რომლებიც შეიმუშავა „ისკრამ“ ლენინის ხელმძღვანელობით. ყრილობამ განამტკიცა მარქსიზმის გამარჯვება „ეკონომიზმზე“, მიიღო მუშათა პარტიის რევოლუციური პროგრამა. ბოლშევიკების პოლიტიკური ჯგუფის შექმნას და ლენინის იდეოლოგიური პრინციპების გამარჯვებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთში მარქსისტული მუშათა პარტიის განვითარებისა და განმტკიცებისათვის. ლენინის დიდი დამსახურება ის არის, რომ მან ყრილობაზე რევოლუციური მარქსიზმის პრინციპების გამარჯვებისათვის თავისი მგზნებარე ბრძოლით ჩაშალა ოპორტუნისტების ცდა—გადაეყვანათ რუსეთის მუშათა მოძრაობა ბურჟუაზიული იდეოლოგიისადმი დამორჩილების გზაზე, რეფორმიზმის გზაზე. რსდმპ II ყრილობა მთელი საერთაშორისო მუშათა მოძრაობას განვითარების მობრუნების პუნქტი იყო.

ყრილობის შემდეგ ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის ბრძოლა კიდევ უფრო გამწვავდა. ბოლშევიკები მთელი სიმტკიცით ახორციელებდნენ მენშევიკების ოპორტუნიზმის მხილების, მათგან სრული გათიშვის გეზს, იბრძოდნენ მუშათა კლასის რევოლუციური პარტიის შექმნისათვის. „ლენინის წიგნი „რა ვაკეთოთ?“ იყო ასეთი პარტიის **იდეოლოგიური** მომზადება. ლენინის წიგნი „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან“ იყო ასეთი პარტიის **ორგანიზაციული** მომზადება. ლენინის წიგნი „სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში“ იყო ასეთი პარტიის **პოლიტიკური** მომზადება. ბოლოს, ლენინის წიგნი „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“ იყო ასეთი პარტიის **თეორიული** მომზადება“ (საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი, გვ. 173).

პრაღის კონფერენციამ, რომელიც 1912 წელს გაიმართა, განდევნა მენშევიკები პარტიიდან. მან საფუძველი ჩაუყარა ბოლშევიკური პარტიის — ახალი ტიპის პარტიის, ლენინიზმის პარტიის დამოუკიდებელ არსებობას.

ლენინის მეთაურობით რუს რევოლუციონერ მარქსისტთა ბრძოლას მენშევიკების წინააღმდეგ უზოგოისი საერთაშორისო მნიშვნელობა ჰქონდა. იგი მიმართული იყო არა მარტო რუსული ოპორტუნიზმის წინააღმდეგ, არამედ საერთაშორისო ოპორტუნიზმის წინააღმდეგაც.

II.

რსდმპ II ყრილობის შემდეგ განვლილი 50 წლის მანძილზე საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ ბრძოლის დიდი და სახელოვანი გზა განვლო. პარტია იყო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი. მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის მებრძოლი კავშირი, რომელიც პარტიამ შექმნა, გახდა ის ძალა, რომელმაც დაამხო კაპიტალისტთა და მემამულეთა ბატონობა და უზრუნველყო 1917 წლის ოქტომბერში პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებით ახალი ხანა დაიწყო კაცობრიობის ისტორიაში.

პარტიის ხელმძღვანელობით სსრ კავშირის მშრომელებმა ააშენეს სოციალისტური საზოგადოება, სამუდამოდ მოსპეს ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, მოსპეს სოციალური და ეროვნული ჩაგვრა.

დიდი სამამულო ომის წლებში კომუნისტური პარტია გამოვიდა გერმანიის ფაშიზმისა და იაპონიის იმპერიალიზმის განადგურებისათვის ბრძოლის ორგანიზატორად. პარტიის ხელმძღვანელობით სსრ კავშირის ხალხებმა დაიცვეს თავიანთი სოციალისტური მონაპოვარი და ფაშისტური დამონებისაგან იხსნეს ევროპის ხალხები.

ომისშემდგომ პერიოდში საბჭოთა ხალხმა პარტიის ხელმძღვანელობით მეურნეობისა და კულტურის ახალ უდიდეს აღმავლობას მიაღწია, წარმატებით ახორციელებს სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლას.

საბჭოთა კავშირთან ერთად, შთაგონებული მისი დიადი მაგალითით, სოციალიზმის მშენებლობის გზით მიდიან სახალხო დემოკრატიის ქვეყნები. მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის მძლავრი ბანაკის შექმნა, რომელსაც სათავეში უდგას სსრ კავშირი, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის უდიდესი ტრიუმფია.

პარტიამ მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებანი მოიპოვა იმის მეოხებით, რომ მან განასახიერა რუსეთისა და საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობის საუკეთესო ტრადიციები და თვისებები, რომ იგი შენდებოდა და შენდება ლენინური პრინციპების საფუძველზე.

ჩვენი პარტიის ძალა ის არის, რომ იგი თავის მოღვაწეობაში ხელმძღვანელობს მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის ყოვლისმძლე მოძღვრებით, ემყარება საზოგადოების განვითარების ობიექტურ კანონთა შეცნობას და სწორ გამოყენებას. მარქსისტულ-ლენინური თეორია სწორად გამოხატავს საზოგადოების მატერიალური ცხოვრების განვითარებას მოთხოვნებს, მუშათა კლასისა და ყველა მშრომელის ძირეულ ინტერესებს. საზოგადოებრივი განვითარების და პოლიტიკური ბრძოლის კანონების ცოდნა შესაძლებლობას აძლევს კომუნისტურ პარტიას გაერკვეს გარემოვითარებაში, განჭვრიტოს მოვლენათა მსვლელობა, ეიმუშაოს სწორი პოლიტიკა. მარქსიზმ-ლენინიზმის ძალა და ცხოველმყოფელობა, ჩვენი პარტიის პოლიტიკის სისწორე შემოწმებული და დადასტურებულია ისტორიის მთელი მსვლელობით, ძლევამოსილი სოციალისტური რევოლუციის და სსრ კავშირში სოციალიზმის მშენებლობის გამოცდილებით. მარქსიზმ-ლენინიზმი არის ცოცხალი, შემოქმედებითი მოძღვრება, რომელიც განუწყვეტლივ ვითარდება, მისთვის უცხოა დოგმატიზმი, იგი განუწყვეტლივ მდიდრდება ახალი დებულებებით რევოლუციური ბრძოლის გამოცდილების საფუძველზე. ამ თეორიის შესწავლა მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საფუძველია.

კომუნისტური პარტიის ძალა და უძლეველობაა მისი რიგების ფოლადისებური ერთიანობა და მონოლითურობა. პარტია გამოდის როგორც თანამოაზრეთა მებრძოლი კავშირი, ნებისა და მოქმედების ერთიანობით ძლიერი. პარტიის ერთიანობა საშუალებას აძლევს მას წარმატებით განახორციელოს კომუნისტური მშენებლობის ამოცანები, გაუძღვეს მთელ ხალხს. ეს ერთიანობა გამოჭედილი და მოპოვებულია ხანგრძლივ ბრძოლაში ყველა ჯურის ოპორტუნისტების — მენშევიკების, ტროცკისტების, ბუხარინელების, ნაციონალ-უკლონისტებისა და სხვა მტრების წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობდნენ გაეთიშათ პარტია, ძირი გამოეთხარათ მისი ძლიერებისათვის.

ლენინი და სტალინი გვასწავლიან, რომ პარტიის განვითარების კანონია შეურიგებელი ბრძოლა ოპორტუნიზმის წინააღმდეგ, ბრძოლა თავისი რიგების სიწმინდისა და დარაზმულობისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდება, რომელიც XIX ყრილობამ მიიღო, ავალებს პარტიის ყველა წევრს დაიცვას პარტიის ერთიანობა, განამტკიცოს რკინისებური პარტიული დისციპლინა, უფრო მეტად აამაღლოს პარტიის წევრის წოდება და მნიშვნელობა, მიაღწიოს იმას, რომ ყველა კომუნისტი იყოს მედგარი მებრძოლი პარტიის პოლიტიკის განხორციელებისათვის, რომ ისინი შეურიგებელი იყვნენ მუშაობის ნაკლოვანებებისადმი.

კომუნისტური პარტიის ძალის წყაროა მისი განუყოფელი კავშირი ხალხთან, ხალხის შემოქმედებითი ძალების ურყევი რწმენა. თავისი არსებობის პირველი დღეებიდან იგი გამოდის მშრომელთა ინტერესების დამცველად, ხალხის ბელადად და მასწავლებლად. კომუნისტური პარტიის პოლიტიკა სარგებლობს მთელი საბჭოთა ხალხის ნდობითა და მხარდაჭერით, რადგან ეს პოლიტიკა შეესაბამება ხალხის საარსებო ინტერესებსა და მისწრაფებებს, წარმოადგენს საბჭოთა წყობილების სასიცოცხლო საფუძველს.

ახორციელებს რა კომუნიზმის მშენებლობის დიდებულ ამოცანებს, საბჭოთა ხალხი კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმა პარტიის გარშემო. ხალხის მხარდაჭერა უდიდეს ძალას აძლევს პარტიას, ვინაიდან ხალხი არის ისტორიის მთავარი მამოძრავებელი ძალა, მისი შემოქმედი. პარტია განუწყვეტლივ გვანამტკიცებს კავშირს მშრომელთა მასებთან. იგი არა მარტო ასწავლის და ზრდის მასებს, არამედ თვითონაც სწავლობს მასებისაგან. პარტიისა და ხალხის მჭიდრო ერთიანობა კომუნისტური მშენებლობის ახალ გამარჯვებათა საწინდარია.

პარტია გაბედულად ავითარებს და მხარს უჭერს კრიტიკასა და თვითკრიტიკას, რაც ჩვენი კადრების აღზრდის ნაცადი მეთოდია, ჩვენი მუშაობის ნაკლოვანებათა გამოვლინებისა და აღმოფხვრის მძლავრი საშუალებაა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმმა ერთხელ კიდევ ცხადყო პარტიის რიგების ერთიანობა და მონოლითურობა, მისი მზადყოფნა იბრძოლოს XIX ყრილობის მიერ დასახული ისტორიული ამოცანების განხორციელებისათვის.

კომუნისტური პარტია იბრძვის მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს შემდგომი განმტკიცებისათვის, საბჭოთა ხალხის მატერიალური და კულტურული დონის განუწყვეტელი ამაღლებისათვის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის, მუშათა და გლეხთა კავშირის, სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის შემდგომი განმტკიცებისათვის, საბჭოთა კავშირის ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების გადიდებისათვის. პარტია დიდ ყურადღებას აქცევს საბჭოთა ადამიანების კომუნისტურ აღზრდას, მათში შრომისა და საზოგადოებრივი საკუთრებისადმი შეგნებული დამოკიდებულების, საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ჩანერგვას. პარტიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა იყო და კვლავ არის ბრძოლა ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ, ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის ნაშთების დაძლევისათვის.

პარტია გვასწავლის ყოველი ღონისძიებით ავამაღლოთ რევოლუციური სიფხიზლე, გვახსოვდეს, რომ მტრები, რომლებიც კომუნისტებად ინიღბებიან, ცდილობდნენ და კვლავაც შეეცდებიან შეძვრნენ პარტიაში ძირგამომთხრელი მუშაობის გასაწევად. პარტიისა და ხალხის მტრების წინააღმდეგ ულმობელი ბრძოლა კომუნიზმისაკენ წარმატებით წინსვლის უმნიშვნელოვანესი პირობაა.

საგარეო პოლიტიკის დარგში პარტია ამოცანად ისახავს განაგრძოს ბრძოლა მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის, ამხილოს ომის გამჩაღებელთა ხრიკები, განამტკიცოს ძმური მეგობრობა სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან და სხვა ქვეყნების მშრომელებთან, გაფართოოს და განამტკიცოს ხალხთა თანამშრომლობა.

ამ ამოცანების განხორციელება პარტიისაგან მოითხოვს უდიდეს ერთიანობასა და დარაზმულობას, პარტიული ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპებისა და ნორმების ზუსტად შესრულებას. საჭიროა აღმოვფხვრათ ისტორიაში პიროვნების როლის საკითხის არასწორი, არამარქსისტული გაშუქება, რაც გამოიხატებოდა პიროვნების კულტის იდეალისტური თეორიის პროპაგანდით. პიროვნების კულტი ეწინააღმდეგება პარტიული ხელმძღვანელობის პრინციპებს, იწვევს პარტიის, მისი ხელმძღვანელი ცენტრის როლის შემცირებას, პარტიული მასებისა და საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი აქტივობის შენელებას. პარტიული ხელმძღვანელობის უმაღლესი პრინციპია მისი კოლექტიურობა მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპულ საფუძველზე. მხოლოდ კოლექტიური გამოცდილება, კოლექტიური სიბრძნე ცენტრალური კომიტეტისა, რომელიც ემყარება მარქსისტულ-ლენინური თეორიის მეცნიერულ საფუძველს, უზრუნველყოფს პარტიისა და ჩვენი ქვეყნისადმი ხელმძღვანელობის სისწორეს, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანების წარმატებით გადაჭრას, პარტიის ერთიანობასა და დარაზმულობას, კომუნიზმისაკენ წარმატებით წინსვლას.

• • •

კომუნიზმის გამარჯვებისათვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ბრძოლის უმდიდრეს გამოცდილებას უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს. იგი ყველა მომძლე კომუნისტური და მუშათა პარტიის კუთვნილებაა, აღფრთოვანებს და იდეურად აიარაღებს მათ მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის საქმისათვის საბრძოლველად.

კომუნისტური მშენებლობის დიდი გამარჯვებანი სსრ კავშირში, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წარმატებითი წინსვლა სოციალიზმის გზით, რევოლუციური მუშათა მოძრაობის ზრდა კაპიტალისტურ ქვეყნებში და ხალხთა განმათავისუფლებელი ბრძოლის გაძლიერება კოლონიებსა და დამოკიდებულ ქვეყნებში მოწმობს, რომ საქმე, რომლისთვისაც იბრძოდა და იბრძვის კომუნისტური პარტია, უძლეველია, რომ მსოფლიოში არ მოიპოვება ისეთი ძალები, რომლებსაც შეეძლოთ შეაჩერონ ხალხების ძლევამოსილი წინსვლა კომუნიზმისაკენ.

დ. დიაგილევი.

ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი გორკაში 1922 წელს.

★

სიხარულით, სიამაყით აღნიშნავს საბჭოთა ხალხი დიადი კომუნისტური პარტიის 50 წლისთავს

ამ დღეებში მრავალი ათასი აგიტატორი, ასობით მომხსენებელი და ლექტორი აწყობს საუბარს, მოხსენებას და ლექციას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ორმოცდაათი წლისთავის შესახებ, მოუთხრობს მშრომელთ ჩვენი პარტიის მიერ ნახევარი საუკუნის მანძილზე განვლილ დიად გზაზე. ყველგან დიდი პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში მიმდინარეობს პარტიული აქტივის და პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებები, მიძღვნილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 50 წლისთავისადმი.

თბილისი

ამ დღეებში, როცა საბჭოთა ხალხი აღნიშნავს კომუნისტური პარტიის 50 წლისთავს, დიდი გამოცოცხლება იგრძნობა ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის დარგებში. აქ ყოველდღე ნახავთ თბილისის საწარმო-დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეებს, საბჭოთა არმიის მეომრებს, კოლმეურნეებს, მეცნიერ მუშაკებს, სტუდენტებს, დიასახლისებს, პროპაგანდისტების ჯგუფს. ისინი განსაკუთრებული ყურადღებით ეცნობიან იმ მრავალრიცხოვან მასალებს, რომლებიც დაკავშირებულია რსდმპ II ყრილობასთან.

დიდი ისტორიული თარიღისათვის მზადების დღეებში მუზეუმს ესტუმრნენ თბილისელი რკინიგზელები, სტალინის სახელობის ორთქლმავალვაგონსარემონტო ქარხნის, ტრამვაიტროლეიბუსის სამმართველოს, ფეხსაცმლის № 3 და აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკების მუშა-მოსამსახურეები, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტისა და პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები.

დედაქალაქის მშრომელები გულდასმით ეცნობიან თეზისებს „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ორმოცდაათი წელი (1903-1953)“. ორჯონიკიძის რაიონის მშრომელებთან ასობით აგიტატორი აწყობს ამ დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტის კითხვას. რაიონის პარტიულ ბიბლიოთეკაში, აგრეთვე ყველა მასობრივ ბიბლიოთეკაში მოწყობილია ჩვენი პარტიის გმირული ისტორიის ამსახველი დოკუმენტების გამოფენები.

გათუმი

უდიდესი პოლიტიკური აქტივობით აღნიშნავენ ბათუმის მშრომელები სახელოვანი კომუნისტური პარტიის 50 წლისთავს. ნავსადგურის მუშებთან აგიტატორები ყოველდღე მართავენ ცოცხალ, შინაარსიან საუბრებს. აგიტატორებმა მ. კუნუულიამ, პ. ისაჩენკომ, ი. ბერიძემ, ე. ტრაპაიძემ და სხვებმა ნავსადგურის მტვირთავებსა და მექანიზატორებს წაუკითხეს თეზისები, გულდასმით ესაუბრნენ მათ ჩვენი პარტიის მიერ განვლილ სახელოვან გამარჯვებათა გზაზე.

ი. ბ. სტალინის სახელობის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის კოლექტივი ახალი საწარმოო წარმატებებით ეგებება ღირსშესანიშნავ თარიღს. დიდი ინტერესით ეცნობიან თეზისებს ქობულეთის რაიონის მშრომელები. ქობულეთელი მეჩაიე კოლმეურნეები კომუნისტური პარტიის 50 წლისთავს ჩაის ფოთლის კრეფის გეგმების წარმატებით შესრულებით აღნიშნავენ. მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის ცნობილმა სტახანოველმა, სოციალისტური შრომის გმირმა გული ჯინჯარაძემ, რომელიც დიდი ინტერესით სწავლობს თეზისებს, განაცხადა:

— კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა ჩვენი ხალხის ყველა გამარჯვების პირობაა. ჩემი ახალი ვალდებულებაა — წელს მოვკრიფო და სახელმწიფოს ჩავაბარო რვა ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. (**„კომუნისტის“ კორ.**).

სუხუმი

აფხაზეთის მშრომელთა დიდი პოლიტიკური აღმავლობა გამოიწვია თეზისებმა „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ორმოცდაათი წელი (1903-1953)“.

დიდი სააგიტაციო და პროპაგანდისტული მუშაობა გაშლილი ამ ღირსშესანიშნავი თარიღის შესახვედრად სუხუმის საწარმოებსა და დაწესებულებებში. ბიბლიოთეკებსა და სამკითხველოებში მოწყობილია პარტიის ორმოცდაათი წლისადმი მიძღვნილი გამოფენები. აფხაზეთის რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში ვ. ი. ლენინის და ი. ბ. სტალინის შრომებთან ერთად გამოფენილია რსდმპ მეორე ყრილობის ოქმის პირი, რომელიც საჩუქრად გამოგზავნა სსრ კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სახელმწიფო ბიბლიოთეკამ.

სუხუმის ტყავფეხსაცმლის კომბინატის სტახანოველმა მუშამ ბ. თოფურიამ თეზისების გაცნობის შემდეგ თქვა:

— სიამაყით ვეცნობი ჩვენი პარტიის მიერ განვლილ გმირულ გზას. კომუნისტური პარტია საბჭოთა ხალხის გამარჯვებათა ორგანიზატორი და სულისჩამდგმელია.

სუხუმელმა მეფეხსაცმლეებმა კიდევ უფრო გააძლიერეს მუშაობის ტემპი. ამ დღეებში კომბინატი ყოველდღიურ დავალებას 105-110 პროცენტით ასრულებს. (**„კომუნისტის“ კორ.**).

სტალინირი

ქალაქ სტალინირის ასობით აგიტატორი საწარმო-დაწესებულებებში და დიასახლისებთან აწყობს საუბრებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 50 წლისთავის შესახებ.

სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ პირველადი, პარტიული ორგანიზაციების მდივნები, აგიტკოლექტივების ხელმძღვანელები, აგიტატორები, რიგითი კომუნისტები თავს იყრიან პარტიის სტალინირის საქალაქო კომიტეტის პარტიულ ბიბლიოთეკაში. დიდ ინტერესს იწვევს აქ მოწყობილი გამოფენა, მიძღვნილი პარტიის 50 წლისთავისადმი.

თეზისებმა მხურვალე გამოხმაურება ჰპოვა სამხრეთ ოსეთის საკოლმეურნეო სოფლებში. პურეულის მოსავლიანობაზე მომუშავე აგრეგატებთან, მთის საძოვრებზე სოფლის მშრომელები კითხულობენ ახალ გაზეთებს, რომლებშიც დაბეჭდილია ჩვენი პარტიის 50 წლისთავთან დაკავშირებული მასალები. (**„კომუნისტის“ კორ.**).

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 50 წელი

ჩვენი პარტია—ხალხის მასების ბელადი და ორგანიზაციორი

★ ★

როგორც მოითხოვს კომუნისტური პარტია

— სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხანა სახელოვანი ტრადიციების საწარმოა. ჩვენთან არიან კომუნისტური პარტიის ძველი წევრები, სახელოვანი ადამიანები, რომელთაც განუცდიათ თვითმპყრობელობის დუხჭირი დრო, ექსპლოატატორთა კლანჭები და ჩაგრის უღელი. მათი შთამომავალნი ახლა კომუნიზმის მშენებლობისათვის ვმუშაობთ. არა არის რა იმაზე უფრო საამაყო და საპატიო, ვიდრე იყო კომუნიზმის მშენებელთა მოწინავე რიგში, იყო კომუნისტური პარტიის წევრი.

პარტიის 50 წლისთავს ჩვენი საამქროს კოლექტივი შრომითი ენთუზიაზმის ახალი აზვირთებით შეხვდა. საამქროში ახლა არა გვყავს ისეთი მუშა, რომელიც შრომის ნოვატორულ მეთოდს არ იყენებდეს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 50 წლისთავის აღსანიშნავად ჩვენი ქარხნის ახალგაზრდა მოწინავე მუშებში დიდად გაძლიერდა ლტოლვა პარტიისაკენ. ბევრ მოწინავე მუშას შეაქვს განცხადება პარტიაში მიღების შესახებ. რამდენიმე დღის წინათ პარტიულ კრებაზე განვიხილეთ და პარტიაში მივიღეთ ენერგიული ახალგაზრდა მუშები პ. გაიდაბურა და ი. დავთიანი, რომლებმაც თავი ისახელეს ლითონის დამუშავების ნოვატორული მეთოდების ათვისებით და საწარმოო დავალებათა საუკეთესოდ შესრულებით.

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის ახალგაზრდა მუშები ცდილობთ ვიმუშაოთ ისე, როგორც ამას ჩვენგან მოითხოვს მშობლიური კომუნისტური პარტია.

ი. ჯუმბურიძე,
ნოვატორი ხარატი.

ხაშურის რაიონის კოლმეურნეობებში და მტს-ებში აგიტატორები მართავენ პარტიის მეორე ყრილობის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ საუბრებს, კითხულობენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის ინსტიტუტის თეზისებს „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ორმოცდაათი წელი (1903-1953)".

სურათზე: ხაშურის მტს-ის პირველი აგრეგატის მექანიზატორები ეცნობიან თეზისებს. საუბარს ატარებს აგიტატორი კომუნისტი ა. ციყელაშვილი.

ფოტო გ. ვახტანგაძისა.

ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელი

დიდი ლენინის მიერ შექმნილი და მრავალ ბრძოლაში გამობრძმედილი კომუნისტური პარტია ნახევარი საუკუნის მანძილზე მტკიცედ დგას საბჭოთა ხალხის ინტერესების სადარაჯოზე.

კომუნისტური პარტია დაუეჭრომლად ზრუნავს მშრომელების მატერიალური და კულტურული კეთილდღეობისათვის.

კარგად მახსოვს როგორ ცხოვრობდა ძველ დროში ჩემი სოფლის — არადეთის (ქარელის რაიონი) მოსახლეობა, სიღატაკე და შიმშილი იყო მშრომელთა ხვედრი.

ახლა, როცა ჩვენს საკოლმეურნეო მინდვრებზე გუგუნებენ მძლავრი ტრაქტორები და კომბაინები, შრომა სახალისო გახდა, გლეხი წელში გასწორდა და შეძლებულად ცხოვრობს

გასულ წელს გადაჭარბებით შეავსრულე მოსავლის აღების გეგმა და მარტო პრემია-დანამატის სახით მივიღე ერთი ტონა პური.

მე როგორც კომუნისტი, თვალსაჩინოვით ეუფრთხილდები პარტიის დიად სახელს, დიდ მოთხოვნებს ვუყენებ ჩემს თავს, მინდა რაც შეიძლება მეტი გავაკეთო საერთო საქმისათვის. წელს მოსავლის აღებას საუკეთესოდ მომზადებული შევხვდი, 13 სამუშაო დღეში არადეთის კოლმეურნეობაში კომბაინ „სტალინეც-6"-ით მოსავლი ავიღე 390 ჰექტარზე.

ყველაფერს გავაკეთებ ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიის დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის, პრეველხარისხოვანი მანქანების მთელი სიმძლავრით გაღოყენებისათვის.

ალექსი ტიტვინიძე,
აგარის მტს-ის კომბაინერი.

ლენინიზმის დროშით

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 50 წლისთავი, რასაც დღეს აღვნიშნავთ, დიდი ისტორიული მნიშვნელობის თარიღია. გენიალური ლენინის მიერ შექმნილი და გამოწრთობილი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მოიპოვა ჩვენმა ხალხმა კაცობრიობის ისტორიაში არნახული გამარჯვებანი.

ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ჩვენს ქვეყანაში სამუდამოდ მოუღო ბოლო ყოველგვარ სოციალურ ჩაგვრას, ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციას. სსრ კავშირში განხორციელდა კულტურული რევოლუცია, აყვავდა და გაიფურჩქნა ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურა, გიგანტური ნაბიჯით წავიდა წინ საბჭოთა მეცნიერება.

საბჭოთა მეცნიერებს და კულტურის მოღვაწეებს დიდმნიშვნელოვანი წვლილი შეეტანა ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის საქმეში.

კომუნისტურმა პარტიამ დიდი შემოქმედებითი შრომისათვის დარაზმა ჩვენი სამშობლოს მრავალმილიონიანი ხალხები და ლენინიზმის დროშით მიუძღვის მათ კომუნიზმის სრული გამარჯვებისაკენ.

ნ. ბერძენიშვილი,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი.

ჩვენი მშობლიური პარტია

ვიგონებთ რა ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიის განვლილ გმირულ გზას, კიდევ უფრო ძლიერდება ჩვენი სიყვარული და რწმენა მისდამი. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ცარიზმის მონობაში მყოფმა ხალხებმა მოიპოვეს თავისუფლება, აამენეს ახალი ქვეყანა და შექმნეს ბედნიერი ცხოვრება. კომუნისტურ პარტიას მიჰყავს საბჭოთა ხალხი კომუნიზმის ელვარე მწვერვალებისაკენ. ის მუდამ იყო და არის მზრუნველი მშრომელი საბჭოთა ინტელიგენციისა, ხელოვნებისა და მწერლობისა. პარტია შთაგონებდა ქართველ საბჭოთა მწერლობას კომუნიზმის დიად იდეას, ხალხისადმი სიყვარულს, სამშობლოსადმი სიყვარულს. პარტია ამაღლებს ჩვენს მწერლობას მხატვრულად და იდეურად.

პარტიამ მომცა იდეური და მოქალაქეობრივი წვრთნა. პარტია მაძლევდა გეზს ცხოვრებასა და შემოქმედებაში. უწინარეს ყოვლისა პარტიას ვუმადლი ჩემს პოლიტიკურ და შემოქმედებით დავალებას. მე ვამაყობ იმით, რომ ვარ დიადი კომუნისტური პარტიის შვილი. მზად ვარ მუდამ პირნათლად შევასრულო მისი ყოველი დავალება და მხატვრული სიტყვის საშუალებით ვემსახურო ჩემს მშობლიურ ხალხს.

ალიო ბირკხულავა (მაშაშვილი).



ჰიმნი პარტიას

იოსებ ნონეშვილი

... „და თუ დაეცი ტყვიადაკრული,
მსურს კომუნისტად მოვკედე ბრძოლებში".
დიდ პარტიაში შესვლის ნატრულნი
ეწერდით სანგრებში, სისხლის მორევში.

როცა ტყდებოდნენ ფეხქვეშ ხიდები,
ტყვიით ნასეტყვი და ხმლით ნაცელი,
წინ მიდიოდნენ კომუნისტები, —
დიდი პარტიის ჯარისკაცები.

შემდეგ ხარაჩო ცამდე აღმართეს,
ვარდით დაფარეს ყველა სანგარი.
ჰკითხეთ ლენინგრადს თუ რას ღაღადებს
ან სტალინგრადი ფერფლში ამდგარი.

ჩვენი პარტია... ერთად ახდენა,
რაც კი ოდესმე ხალხს უნატრია.
სულ გამარჯვება ჰქვია სახელად...
აი, რა არის ჩვენი პარტია.

ზეცა დაფარა ქარხნის მილებით,
უდაბნოს აღარ ახრჩობს წყურვილი.
არხების მკლავებგამოწვდილები
ზღვები შეერთდნენ მისი სურვილით.

სამყარო მზისკენ შეატრიალა,
შუღლი, მონობა დაასამარა.
როგორც არწივმა, ლაღად მფრინავმა,
შეჰკრა ხუთწლედთა დიდი კამარა.

წამოაყენა ფეხზე ერები,
წყვდიად ღამეში დამარხულები
და მეგობრობის ცისარტყელებით
გაღაანათა ხალხთა გულები.

ცოდნის ტაძარი, ჯერ არნახული,
დადგა, დაუდო ფუძედ სიმართლე,
სადაც დაადო აგურს აგური,
ცათამბჯენები წამოიმართნენ.

შრომაში ჩვენი დროშა ის არის,
ის გვიშუშებდა ომში ნატყვიარს,
ჩვენი იმედი და საფიცარი,
ხალხის პარტია, დიდი პარტია!

მის გოლიათურ გულისძგერაში
ჩვენნ გულების ძგერა ვიცანით.
და მის აწმყოში, მის მომავალში
ჩვენი აზრია, ჩვენი მიზანი.

მას ვერ აშინებს მტერთა მუქარა,
ყველგან ურიცხვი ჰყავს ძმადნაფიცი.
მის დიდ სუნთქვაში ხალხის სუნთქვაა,
მის დიდ ნაბიჯში — ხალხის ნაბიჯი.

საკუთარ გულში თუ სიმღერაში
მისი დროშები ვის არ უქია.
მომავლისაკენ მის დიდ მზერაში
მილიონების თვალთა შუქია.

სამშობლო არის ვრცელი რუსეთი,
მისცა პარტიას მხარგაშლილობა
და ისტორიის ოქროს ფურცლებით
მის ზრდას გვამცნობდა ყველა ყრილობა.

პარტია დიდი სიმაღლე არის,
მწვერვალი აჩის, ცას რომ ეხება.
ადი, გახედე გონების თვალით,
ჩვენს დიდ მომავალს ნათლად შეხედავ.

პარტია გზაა უკვდავებისა,
და შენ, საბჭოთა ადამიანო,
ბედნიერი ხარ, რადგან გეღირსა
კომუნიზმამდე ამ გზით იარო.

პარტია სიბრძნის ნაკადულია,
მიდი, წყურვილს მოკვლას გპირდება.
მის სიწმინდეში ჩახატულია
შენი კაცობა, შენი დიდება.

მისი დროშები ყველგან გიზგიზებს,
მისი სიმტკიცე ჯავშნად გვარტყია.
— კომუნიზმისკენ!
კომუნიზმისკენ!
გვიხმობს, გვეძახის დიდი პარტია.

მსოფლიო რევოლუციური და მუშათა მოძრაობის „დამკვრელი ბრიგადა"

საბჭოთა კავშირის სახელოვანმა კომუნისტურმა პარტიამ განვითარების დიდი გზა განვლო. ეროვნული ძალიდან იგი გადაიქცა საერთაშორისო, ინტერნაციონალურ ძალად. ამიტომ უწოდებენ მას მსოფლიო რევოლუციური და მუშათა მოძრაობის „დამკვრელ ბრიგადას".

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის უდიდესი გამოცდილება შთამაგონებელი მაგალითია ყველა ქვეყნის კომუნისტური და მუშათა პარტიებისათვის. იგი ასწავლის მათ საზოგადოების რევოლუციურად გარდაქმნისათვის ბრძოლას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ლენინისა და სტალინის მიერ აღზრდილი პარტიაა, მსოფლიოში ყველაზე მოწინავე, ყველაზე გამოცდილი და თეორიულად ყველაზე მეტად შეიარაღებული პარტიაა; ეს პარტია ნიშაში იყო და არის ჩვენთვის; იგი კვლავაც ნიშაში იქნება ჩვენთვის...

ახლა საბჭოთა კავშირმა ისეთ ძლიერებას მიაღწია, ჩინეთის სახალხო რევოლუციამ ისეთი დიდი გამარჯვება მოიპოვა, სახალხო-დემოკრატიულ ქვეყნებში მშენებლობას ისეთი დიდი წარმატებები აქვს, მსოფლიოს ხალხთა მოძრაობა ჩაგვრისა და აგრესიის წინააღმდეგ ისე გაჩაღდა, ხოლო ჩვენი მეგობრობისა და მჭიდროდ დარაზმულობის ფრონტი იმდენად განმტკიცდა, რომ სრული საფუძველი გვაქვს ვამტკიცებდეთ, რომ ჩვენთვის საშიში არ არის არავითარი იმპერიალისტური აგრესია. ჩვენ ყოველგვარ იმპერიალისტურ აგრესიას განანადგურებთ, ყველა საზიზღარი პროვოკაცია ჩაიშლება.

ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხების დიადი მეგობრობა ურღვევია, იმიტომ რომ იგი ემყარება მარქსის, ენგელსის, ლენინის, სტალინის ინტერნაციონალიზმის დიად პრინციპებს.

მაო ძე-დუნი.

• • •

პოლონელი მშრომელები ბევრ, განუზომლად ბევრ რამეს უნდა უმადლოდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, მის პოლიტიკას, მის ბრძოლას, მის გამარჯვებებსა და მიღწევებს. ისინი მას უნდა უმადლოდნენ ყველაფერს, რაც კი მათთვის ყველაზე ძვირფასი იყო და არის: ფაშისტური მონობისაგან განთავისუფლებას, ეროვნული დამოუკიდებლობის დამკვიდრებას, სახალხო მეურნეობისა და კულტურის სწრაფ განვითარებას, თავიანთი სახალხო სახელმწიფოს შინაგანი ძალების ზრდას.

ბოლესლავ ბიერუტი,
პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე.

• • •

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფოს ძალისა და ძლიერების ზრდა რევოლუციური ენერგიის წყაროა რუმინეთის მუშათა პარტიისა და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელებისათვის, რომლებიც საბჭოთა კავშირში კომუნიზმის მშენებლობის სიდიადეში ჩვენი სამშობლოს მომავლის ნათელ გზას ხედავენ.

ყოველივე ეს რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელ ხალხს განუმტკიცებს გადაწყვეტილებას გადალახოს ყველა სიძნელე, რომლებიც ჯერ კიდევ არის ჩვენს გზაზე, და იაროს წინ იმ გზით, რომელიც განვლო საბჭოთა კავშირის სახელოვანმა კომუნისტურმა პარტიამ...

გ. გეორგიუ-დეჟი,
რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი.

• • •

ჩვენი ხალხი არასოდეს არ დაივიწყებს იმას, რომ ბულგარეთის აღორძინება და ბულგარეთის სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის მშენებლობაში მოკლე ხნის მანძილზე მიღწეული წარმატებანი წარმოუდგენელი იქნებოდა, რომ არ ყოფილიყო საბჭოთა კავშირი, რომ არ ყოფილიყო მისი მუდმივი უდიდესი და უანგარო მხარდაჭერა და დახმარება.

ბულგარელ ხალხს, ისევე როგორც სახალხო დემოკრატიის სხვა ქვეყნების ხალხებს, კარგად აქვს შეგნებული და ესმის, თუ რას უნდა უმადლოდეს იგი ლენინ — სტალინის პარტიას და საბჭოთა კავშირს. იგი მათ უნდა უმადლოდეს იმ ბედნიერებას, რომ იგი ახლა თავისუფალი და თანასწორუფლებიანი ხალხია, რომ შესაძლებლობა აქვს აშენოს თავისი ახალი ცხოვრება საკუთარი, ძირითადი ინტერესების შესაბამისად, რწმენით იაროს წინ სოციალიზმის გზით. აი რატომ არის უსაზღვრო მისი მადლობა, სიყვარული და ერთგულება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისადმი...

ვილკო ჩერვენკოვი,
ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი.

• • •

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მაგალითი და შთაგონების წყაროა კომუნისტური პარტიებისა და მთელი პროგრესული კაცობრიობისათვის. მისი მიღწევები თეორიისა და პრაქტიკის დარგში, მის მიერ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის საქმისათვის თანმიმდევრული მხარდაჭერა, მისი წარმატებანი სოციალიზმის მშენებლობაში და კომუნიზმზე თანდათანობით გადასვლაში, მისი დიადი ბრძოლა ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობისათვის გვიჩვენებდნენ და გვიჩვენებენ იმ ერთადერთ გზას, რომლის შემწეობითაც კაცობრიობას შეუძლია მიაღწიოს ჩაგვრისა და ექსპლოატაციისაგან განთავისუფლებას. დედამიწის მოსახლეობის მესამედი, მათ შორის ჩვენი დიდ მეზობლის — სახალხო ჩინეთის — ხალხები, უკვე მტკიცედ დაადგა ამ გზას.

აჯოკი ბხოში,
ინდოეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი.

• • •

ჩვენ შეგვიძლია სინანული გამოვთქვათ მხოლოდ იმის გამო, რომ უკვდავ ლენინს, რომელიც 1903 წელს ლონდონში ეწეოდა ბრძოლას რუსეთის მუშათა კლასის ნამდვილი — დამოუკიდებელი, რევოლუციური პოლიტიკური პარტიის შექმნისათვის, არ შეუძლია დაესწროს ამ XIX ყრილობას, რათა დაინახოს სოციალიზმის ამაყი და დიადი შენობა და ის სახელმწიფო, რომლის აშენებისათვის მან ესოდენ ბევრი გააკეთა თავისი შემმართებელი შრომით.

ჰარი პოლიტი,
დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი.
(პარტიის XIX ყრილობაზე წარმოთქმული სიტყვიდან).

• • •

...1917 წლის ოქტომბრიდან დაწყებული, ჩვენ მტკიცე რწმენით დავადექით ბრძოლის გზას, რომელიც გაცისკროვნებული იყო მარქსისტულ-ლენინური შუქით, რასაც გვფენს სოციალიზმის მშენებლობა საბჭოთა კავშირში, გამარჯვებანი საბჭოთა ხალხისა, რომელსაც კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს

დოლორეს იბარური,
ესპანეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი.

ჩვენი პარტიის ისტორიის სახელოვანი ფურცლები

ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის დარბაზებში

ამ დღეებში, როცა საბჭოთა ხალხი პარტიის II ყრილობის 50-ე წლისთავს აღნიშნავს, განსაკუთრებით მრავალი მნახველი მოდის ვ. ი. ლენინის ცენტრალურ მუზეუმში. ერთი დარბაზიდან მეორეში რომ გადადიან და მუზეუმის ექსპონატებს ათვალიერებენ, ადამიანები თითქოს კითხულობენ საბჭოთა ხალხის ყველა გამარჯვების დიდი სულისჩამდგმელისა და ორგანიზატორის — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიის სახელოვან ფურცლებს.

ამ ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპია II ყრილობა, რომელზეც ოპორტუნიზმის წინააღმდეგ გაიფთრებულ ბრძოლაში ჩამოყალიბდა ბოლშევიზმი, როგორც პოლიტიკური აზროვნების მიმდინარეობა, საფუძველი ჩაეყარა ბოლშევიკური პარტიის, ლენინიზმის პარტიის არსებობას. ამ ყრილობას უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა აქვს როგორც მობრუნების პუნქტს არა მარტო რუსეთის მუშათა მოძრაობის, არამედ აგრეთვე საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ისტორიაში.

ექსპონატებს ყრილობის შესახებ თვალსაჩინო ადგილი უჭირავთ ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის III დარბაზში, სადაც განლაგებულია მასალები, რომლებიც გვიხატავენ რევოლუციურ ბრძოლას XX საუკუნის პირველ წლებში.

ყრილობა ვერ შედგებოდა და ამ ყრილობაზე ბოლშევიზმი ვერ ჩამოყალიბდებოდა როგორც პოლიტიკური მიმდინარეობა, ვ. ი. ლენინს რომ არ მოემზადებინა ეს ყრილობა თავისი მრავალი წლის ბრძოლით, რასაც იგი პროლეტარიატის რევოლუციური პარტიის, ახალი ტიპის პარტიის შექმნისათვის ეწეოდა.

მუზეუმის ექსპოზიცია მკაფიოდ გვიხატავს ვ. ი. ლენინის აქტიური რევოლუციური მოღვაწეობის პირველ ათეულ წელს. 1893 წელს ახალგაზრდა ლენინი პეტერბურგს ჩავიდა. აქ იგი აქტიურ ბრძოლას ეწევა ნაროდნიკობის წინააღმდეგ, ამხილებს მის რეაქციულ არსს, ეწევა რევოლუციური მარქსიზმის იდეების პროპაგანდას.

ვ. ი. ლენინმა თავის გენიალურ ნაშრომში — „რანი არიან „ხალხის მეგობრები" და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ?" პირველად წამოაყენა იდეა მუშათა და გლეხთა რევოლუციური კავშირისა, როგორც ცარიზმის და კაპიტალიზმის დამხობის მთავარი საშუალებისა, მიუთითა მუშათა კლასს თავისი განთავისუფლებისათვის ბრძოლის გზა, განსაზღვრა მისი როლი, როგორც საზოგადოების მოწინავე რევოლუციური ძალისა, განსაზღვრა გლეხობის როლი, როგორც მუშათა კლასის მოკავშირისა.

ნაროდნიკობის იდეური განადგურება ლენინმა დაამთავრა თავის ნაშრომში „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში". ამ წიგნის პირველი გამოცემის ნამდვილი ეგზემპლარი მუზეუმში ინახება.

1897 წელს მეფის მთავრობამ ვ. ი. ლენინი ციმბირში გადასახლა. ფოტოგრაფიაზე გამოსახულია პეტროვას სახლი სოფელ შუშენსკოეში, სადაც ვლადიმერ ილიას-ძემ ციმბირში გადასახლების ორი უკანასკნელი წელი გაატარა. ეს იყო დაძაბული, მჩქეფარე, შემოქმედებითი შრომის წლები. გადასახლებაში ყოფნის წლებში ლენინმა დაწერა ოცდაათზე მეტი ნაშრომები, მათ შორის ისეთი კაპიტალური შრომა, როგორიც არის „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში". გადასახლებაში ვლადიმერ ილიას-ძე ბევრს მუშაობდა ახალი ტიპის რევოლუციური პროლეტარული პარტიის შექმნის გეგმაზე.

ამ პერიოდში ი. ბ. სტალინი აქტიურ რევოლუციურ მუშაობას ეწეოდა ამიერკავკასიაში.

მუზეუმის მნახველთა დიდ ინტერესს იწვევს ლენინური „ისკრის" ნომრები. აი ვიტრინაში მინის ქვეშ დევს დროისაგან გაყვითლებული პირველი ნომერი „ისკრისა", რომელიც 1900 წლის დეკემბრით არის დათარიღებული. არალეგალური პოლიტიკური გაზეთის გამოცემის გეგმა და მისი ამოცანები ვ. ი. ლენინმა ყოველმხრივ შეიმუშავა ჯერ კიდევ გადასახლებაში ყოფნის პერიოდში. ვლადიმერ ილიას-ძე ასეთ გაზეთში ხედავდა მძლავრ საშუალებას, რომლის დახმარებითაც შეიძლებოდა იდეური დაქსაქსულობისა და ორგანიზაციული კუსტარულობის დაძლევა, ყველა ჯურის ოპორტუნისტების განადგურება და მუშათა კლასის ერთიანი მარქსისტული პარტიის შექმნა.

ლენინური „ისკრის" პირველი ნომრის გამოსვლიდან ერთ წელიწადზე ნაკლები ხნის შემდეგ ამიერკავკასიაში ი. ბ. სტალინის ინიციატივით იწყო გამოსვლა პირველმა არალეგალურმა ქართულმა სოციალ-დემოკრატიულმა გაზეთმა „ბრძოლამ", რომელიც თანმიმდევრულად ატარებდა ლენინური „ისკრის" იდეებს. მუზეუმში ექსპონირებულია „ბრძოლის" პირველი ნომრების ფოტოპირებიც.



სურათებზე: ყდა ვ. ი. ლენინის წიგნისა „რა ვაკეთოთ?" — 1902 წ. და გაზეთ „ისკრის" 1902 წლის 1 ივნისის ნომრის პირველი გვერდი.

...ვ. ი. ლენინის მუზეუმის III დარბაზი. აქ თეთრი მარმარილოს დაფაზე ოქროს ასოებით წერია სახელოდება ლენინის განთქმული ნაშრომისა „რა ვაკეთოთ?", ვიტრინაში მინის ქვეშ წითელ ხავერდზე დევს მისი პირველი გამოცემის (1902 წ.) ეგზემპლარი, დაფაზე ამოკვეთილია ლენინის შესანიშნავი სიტყვები, რომლებიც გადმოგვცემენ ამ გენიალური ნაწარმოების ძირითად იდეას.

ლენინის გენიალური შრომის თეორიულ დებულებებზე დაყრდნობით „ისკრამ" ფართო ბრძოლა გაიჩაღა „ეკონომისტების" და ოპორტუნიზმის სხვა ნაირსახეობათა წინააღმდეგ, პარტიის აშენების ლენინური გეგმის განხორციელებისათვის, პარტიის II ყრილობის მოწვევისათვის. ვ. ი. ლენინის ინიციატივით და მისი უშუალო მონაწილეობით „ისკრის" რედაქციამ შეიმუშავა პარტიის პროგრამის პროექტი და მოამზადა რსდმპ პარტიის II ყრილობის მოწვევა.

ვ. ი. ლენინის უდიდესი ორგანიზატორული და თეორიული მოღვაწეობის მეოხებით გაწმენდილ იქნა ნიადაგი ერთიანი ცენტრალიზებული მარქსისტული მუშათა პარტიის, ახალი ტიპის პარტიის შესაქმნელად.

რევოლუციური მუშათა მოძრაობის სულ უფრო მზარდი გაქანება მტკიცედ მოითხოვდა რაც შეიძლება მალე შექმნილიყო ერთიანი პარტია, რომელსაც შეეძლებოდა მუშათა კლასის პოლიტიკური ხელმძღვანელი, მისი ბელადი, ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი გამხდარიყო ცარიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ასეთ ვითარებაში შეიკრიბა რსდმპ II ყრილობა.

როგორც ცნობილია, ყრილობაზე, რომელიც არალეგალურად შეიკრიბა 1903 წლის 30 ივლისს ბრიუსელში, ხოლო შემდეგ ლონდონში გადავიდა, 43 დელეგატი იყო, რომლებსაც საერთო ანგარიშით 51 გადამწყვეტი ხმა ჰქონდათ. ხმების ამ რაოდენობიდან მხოლოდ 24 ხმა ჰქონდათ ლენინის მომხრეებს, ანუ, როგორც მათ მაშინ უწოდებდნენ, მტკიცე ისკრელებს, 9 ისკრელი მიჰყვებოდა მარტოვს, 10 ხმა ეკუთვნოდათ იმ დელეგატებს, რომლებიც მერყეობდნენ „ისკრასა" და მის მოწინააღმდეგეებს შორის (ცენტრისტები), 8 ხმა ჰქონდათ „ეკონომისტებს" ბუნდელებთან ერთად. ამ რთულ პირობებში ვ. ი. ლენინსა და მის მომხრეებს ნებისყოფის განსაკუთრებული დაძაბულობა უნდა გამოეჩინათ, რომ უზრუნველეყოთ ყრილობაზე ისკრული მიმართულების გამარჯვება.

ყრილობას ფაქტიურად ხელმძღვანელობდა ვ. ი. ლენინი, რომელიც ასოცჯერ და მეტჯერ გამოვიდა სხდომებზე.

ყრილობამ მიიღო ლენინისა და „ისკრის" მიერ შემუშავებული პარტიის პროგრამა, რომლის ცენტრალური დებულება იყო პროლეტარიატის დიქტატურა. ლენინმა და მისმა მომხრეებმა ბრძოლებით დაიცვეს ოპორტუნისტებისაგან მუშათა კლასის პარტიის რევოლუციური პროგრამა.

ყრილობაზე მთავარი საკითხი, რომლის გარშემო ცხარე დავა გაჩაღდა, იყო საკითხი პარტიის წესდების შესახებ. ყველაზე მწვავე უთანხმოება გამოიწვია წესდების პირველი პარაგრაფის ფორმულირებამ — პარტიის წევრობის შესახებ.

უდიდეს ინტერესს იწვევს ვიტრინაში გამოფენილი ფოტოპირი შენიშვნებისა, რომლებიც ლენინს ყრილობაზე გაუკეთებია კამათის დროს პარტიის წესდების პირველი პარაგრაფის ფორმულირების საკითხზე. გაშლილი ფურცელი ქალალდი. მარჯვენა მხარეს ვლადიმერ ილიას-ძე წერდა მარტოვის სიტყვებს, მარცხენა მხარეს — თავის მოსაზრებებს მათ წინააღმდეგ. მგზნებარე, ცხარე ბრძოლა, მწვავე დაძაბულობა, ლენინის გონების მძლავრი ძალა აღბეჭდილია ამ ამაღლებულ ჩანაწერებში!

ლენინს ჩაუწერია მარტოვის სიტყვები:

„მე მსურს ყველა გავხადო პარტიის წევრებად.

თუ გნებავთ, დიახ".

ვლადიმერ ილიას-ძეს ხაზი გაუსვამს ამ სიტყვებისათვის, ხოლო მარცხენა მხარეს მსხვილი ასოებით დაუწერია სიტყვა „მავნე" და მსხვილი ხაზით შეუერთებია იგი ფურცლის მარცხენა მხარესთან, სადაც ჩაწერილია მარტოვის სიტყვები. ეს ლაკონიური ჩანაწერი უფრო მკაფიოდ და დამაჯერებლად, ვიდრე ზოგი გრძელი სტატია და ბროშურა, ცხადყოფს ძირეულ, პრინციპულ განსხვავებას ორ ფორმულირებას შორის, რომელთა გამო უთანხმოება იყო ყრილობაზე.

ვლადიმერ ილიას-ძეს საჭიროდ მიაჩნდა შეეწყობულიყო ამ ადამიანთა წრე, რომლებსაც შეეძლოთ პარტიის წევრი ეწოდებინათ თავისთავის, შეზღუდულიყო იგი მხოლოდ იმ ადამიანებით, რომლებიც ნამდვილად ერთგულნი არიან რევოლუციის საქმისა და მუშაობენ პარტიაში. შემდეგში, „რსდმპ II ყრილობის ამბავში" ვ. ი. ლენინი წერდა: „ჩვენ ვამტკიცებდით, რომ საჭიროა პარტიის წევრის ცნების **შეკვეცრობა** მომუშავეთა გასარჩევად მოლაყბეთაგან"... (ტ. 7, გვ. 15).

პასუხად მარტოვის წინადადებისა — პარტიაში შესვლის საშუალება მისცემოდა ყველა მერყევ, არაპროლეტარულ, შემთხვევის ელემენტებს — ლენინს ჩაუწერია:

„მოლაყბეთა და მომუშავეთა გარჩევა:

უმჯობესია 10 მოლაყბეს არ ვუწოდოთ პარტიის წევრი, ვიდრე 1 მოლაყბეს ვუწოდოთ.

და შემდეგ:

„ვიმეორებ: ცენტრალური კომიტეტის ძალა და ძალაუფლება, პარტიის სიმტკიცე და სიწმინდე — აი რა არის არსი".

თავის სიტყვაში პარტიის წესდების განხილვისას, რომლის ჩანაწერის ფოტოპირი მუზეუმშია, ვ. ი. ლენინმა ჩამოაყალიბა თავისი შესაწინშნავი დებულებანი პარტიის შესახებ, პარტიის წევრის წოდების შესახებ, დებულებანი, რომლებითაც ყოველთვის ხელმძღვანელობდა და ხელმძღვანელობს ჩვენი პარტია.

„ჩვენი ამოცანაა, — ამბობდა ვ. ი. ლენინი, — დავიცვათ ჩვენი პარტიის სიმტკიცე, სიმკვიდრე, სიწმინდე. ჩვენ უნდა ვეცადოთ სულ უფრო და უფრო აავამაღლოთ პარტიის წევრის წოდება და მნიშვნელობა..." (ტ. 6, გვ. 625).

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდება, რომელიც პარტიის XIX ყრილობამ მიიღო, ეყრდნობა რა ლენინისა და სტალინის მოძღვრებას პარტიის შესახებ, კიდევ უფრო ამაღლებს პარტიის წევრის წოდებას, უზრუნველყოფს პარტიის ერთიანობის შემდგომ განმტკიცებას, მისი რიგების სიწმინდეს.

„რა ჩინებული რამ არის ჩვენი ყრილობა! — წერდა ვ. ი. ლენინი II ყრილობის შესახებ თავის ნაშრომში „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან". —... აშკარა, თავისუფალი ბრძოლა. შეხედულებანი ყველამ გამოთქვა. ელფერები გამოისახა. ჯგუფები დაისახნენ. ხელი მაღლა აწეული. გადაწყვეტილება მიღებულია. ეტაპი განვლილია. წინ!" (ტ. 7, გვ. 429).

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, რომელიც 50 წლის წინათ შექმნა გენიალურმა ლენინმა, გაიზარდა გიგანტურ ძალად. გამოიწვია ბრძოლებში ლენინისა და ლენინის საქმის განმგრძობის — დიდი სტალინის და მათი თანამებრძოლების ხელმძღვანელობით.

ლენინ — სტალინის დროშით ჩვენმა პარტიამ 50 წელიწადში ბრძოლისა და გამარჯვებათა დიადი გზა განვლო. მისი წინამძღოლობით ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა ააშენეს სოციალიზმი და წარმატებით ახორციელებენ თანდათანობით გადასვლას სოციალიზმიდან კომუნიზმში.

ნ. ფლადიმიროვი.

„პირველი ნაბიჯი კორეის საკითხის მშვიდობიანი გადაჭრისაკენ“

გაზეთ „ჟენმინჟიბაოს“ სტატია

პეკინი, 28 ივლისი. (საკადესი). როგორც სინხუას სააგენტო იტყობინება, გაზეთ „ჟენმინჟიბაოს“ დღევანდელ ნომერში გამოქვეყნებულია სარედაქციო სტატია სათაურით „პირველი ნაბიჯი კორეის საკითხის მშვიდობიანი გადაკრისაკენ“.

კორეელ და ჩინელ ხალხთა შეუსუსტებელ სიმტკიცეს, ნათქვამია სტატიაში, და მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ადამიანთა უდიდეს ღონისძიებებს მრავალი დაბრკოლების შემდეგ მოჰყვა სრული შეთანხმების მიღწევა კორეაში დაზავების შესახებ მოლაპარაკებაში, რომელიც ორ წელიწადსა და ორ კვირას გრძელდებოდა. კორეაში დაზავების შესახებ შეთანხმებას, რომელსაც მთელი მსოფლიო მოუთმენლად მოელოდა, გუშინ ხელი მოაწერეს პანმინჯონში როგორც მარშალმა კიმ ირ სენმა და გენერალმა პინ დე-ხუეიმ განაცხადეს. თავიანთ პრძანებაში დაზავების შესახებ შეთანხმების ხელმოწერასთან დაკავშირებით, „დაზავების შესახებ შეთანხმების ხელმოწერა პირველი ნაბიჯია კორეის საკითხის მშვიდობიანი საშუალებებით მოწესრიგებისა და ამიტომ ხელს უწყობს შორეულ აღმოსავლეთში და მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმეს. ამან მხურვალე მხარდაჭერა ჰპოვა კორეელ და ჩინელ ხალხებში, აგრეთვე გაახარა მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ადამიანები“.

გაზეთი აღნიშნავს, რომ ლისინმანელთა რეაქციულმა ბოროვამ, რომელიც მოქმედებდა შეერთებული შტატების აგრესიულ ელემენტებთან ერთად, გააჭიანა რა სამი წლის წინათ კორეის ომი, გადაპარებებით შეაფასა საკუთარი ძალები და ჯერჯერობულ ვერ შეაფასა აზიისა და მთელი მსოფლიოს ხალხთა ძალები. გმირმა ჩინელმა და კორეელმა ხალხებმა გამანადგურებელი ლახვარი ჩასცეს აგრესორებს. სხვადასხვა ქვეყნის ცოტად თუ ბევრად ჯანსაღად მოაზროვნე პოლიტიკური ლიდერებისათვის, რომლებიც ლი სინ მანის მხარეზე იყვნენ, სულ უფრო აშკარა ხდება, რომ კორეის ომის შეწყვეტა და კორეის საკითხის მშვიდობიანი საშუალებებით გადაჭრა ერთადერთი გამოსავალი მათთვის.

კორეის საკითხი, განაგრძობს გაზეთი, ერთერთია მთელი რიგი იმ საერთაშორისო საკითხებიდან, რომლებიც გადაუჭრელია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ისევე როგორც სხვა სასიცოცხლო მნიშვნელობის საერთაშორისო პრობლემების მიმართ, თავდაპირველად არსებობდა საეჭვო საფუძველი ამ საკითხის მშვიდობიანი საშუალებით გადაჭრისათვის. საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირზე, რომელიც 1945 წლის დეკემბერში გაიმართა მოსკოვში, მიღწეულ იქნა შეთანხმება კორეის საკითხის მშვიდობიანი გადაჭრის შესახებ. ამ შეთანხმებას რომ პატივისცემით მოპყრობოდნენ და იგი რომ შეესრულებინათ სსრ კავშირის მთავრობის მაგალითისამებრ, რომელიც კეთილსინდისიერად იცავდა მას, კორეელი ხალხი მიაღწევდა თავისი სამშობლოს გაერთიანებას და დამოუკიდებლობას და წავიდოდა წინ დემოკრატიის გზით. კორეის ომი შეიძლებოდა არ ყოფილიყო. მაგრამ პოლიტიკა, რომელსაც შეერთებული შტატების მთავრობა ახორციელებს ომის შემდეგ, იმით გამოიხატებოდა, რომ გაეთიშა კორეა სამხრეთ და ჩრდილოეთ ნაწილად და წაეგეზებინა ლისინმანელთა რეაქციული ჩრდილოეთ ნაწილი. საბოლოო ანგარიშით მან გააჩაღა აგრესიული ომი კორეის წინააღმდეგ, იმ მიზნით, რომ შეეიარაღებული ძალის საშუალებით გაეერთიანებინა კორეა, დაემხო კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა და მთელ კორეაში დაემყარებინა რეაქციული დესპოტური რეჟიმი, მიმართული ხალხის წინააღმდეგ. მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა მარტო ამას არ დასჯერდა: კორეის წინააღმდეგ აგრესიული ომის გაჩაღებასთან ერთად მან ხელი იგდო კუნძული ტაივანი, რომელიც ჩინეთს ეკუთვნის. მალე ამის შემდეგ მან თავის დამპყრობლურ ჯარებს უბრძანა გადაელახათ 38-ე პარალელი და წასულიყვნენ მდინარეების იალუძიანისა და ტუმინძიანისაკენ ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთის საზღვარზე, რაც კი სერიოზული საფრთხე შეუქმნა ჩინეთის უშიშროებას.

შეერთებული შტატების ამ დიპლომატიისაგან განსხვავებით კორეელი და ჩინელი ხალხები განუხრელად იბრძოდნენ კორეის საკითხის მშვიდობიანი გადაჭრისათვის. აგრესიის წინააღმდეგ ომი ჩვენ იძულებული ვიყავით გვეწარმოებინა აგრეთვე იმისათვის, რომ შეგვექმნა ხელსაყრელი პირობები სამართლიან და გონივრულ საფუძველზე კორეის საკითხის მშვიდობიანი გზით გადასაჭრელად. ამრიგად, კორეელი და ჩინელი ხალხები დაზავების შესახებ ორი წლის მოლაპარაკების მანძილზე უდიდესი სიმტკიცით და მოთმინებით ცდილობდნენ შეთანხმების მიღწევას.

იმის შედეგად, რომ ამ ბოლო დროს კორეიდა ჩინეთმა დიდი ღონისძიებები იხმარეს სამხედრო ტყვეთა რეპატრიაციის საკითხის გადაჭრელად, რომელიც ერთადერთი დაბრკოლება იყო დაზავების შესახებ შეთანხმების მიღწევის გზაზე, და ლისინმანელთა ხროვის საბოტაჟის შესაწყვეტად, დაზავება კორეაში, ბოლოს, მიღწეულ იქნა. ეს ყველასათვის აშკარაა. ამავე დროს, როგორც სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა აღნიშნა თავის 1 აპრილის განცხადებაში კორეის საკითხზე, „საბჭოთა მთავრობა მუდამ უპერდა მხარს ყოველ ღონისძიებას, რომლის მიზანი იყო კორეაში სამართლიანი დაზავება და ომის შეწყვეტა“.

იმან, რომ საბჭოთა ხალხი და მსოფლიოს სხვა ქვეყნების ხალხები მხარს უჭერდნენ კორეელ და ჩინელ ხალხთა პოლიტიკას, რომლებიც კორეის საკითხის მშვიდობიან გადაჭრას მოითხოვდნენ, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა კორეის დაზავების მიღწევაში.

კორეის ომის და დაზავებაზე მოლაპარაკების მსვლელობამ ცხადყო, რომ, თუ მსოფლიოს ხალხები მტკიცედ იბრძვიან მშვიდობის საქმისათვის, მოლაპარაკების სულისკვეთება გაიმარჯვებს ძალზე. კორეის ომში შეერთებულმა შტატებმა დამარცხება განიცადეს, მიუხედავად იმისა, რომ მათ მობილიზაცია უყვეს თავიანთი სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო ძალებისა და 17 ქვეყნის შეიარაღებული ძალების დიდ ნაწილს, და დაკარგეს თითქმის 1 მილიონი კაცი და 20 მილიარდი დოლარი. პირიქით, კორეისა და ჩინეთის სახალხო ჯარები ომის მსვლელობაში სულ უფრო ძლიერდებოდნენ და სისტემატურად აღწევდნენ ბრწყინვალე გამარჯვებებს...

ეს მოწმობს, რომ არ შეიძლება საერთაშორისო პრობლემების გადაჭრა ძალის საშუალებით. და მხოლოდ მოლაპარაკების გზით, რომელიც არაერთხელ მოექცა ჩიხში, ბოლოს, გამონახა კომპრომისული გეგმა, რომელიც მისაღები აღმოჩნდა ორივე მხარისათვის. აქედან გამომდინარეობს ის, რომ შეიძლება ასევე მშვიდობიანი გზით გადაიჭრას სხვა საერთაშორისო სადავო საკითხები და დიდი ხნის პრობლემები. მაგრამ, თუმცა ეს შესაძლებლობა დამოკიდებულია დაინტერესებული ქვეყნების მზადყოფნაზე. — გასწორნ ურთიერთკოსულტაცია და ერთმანეთს მოეპყრონ როგორც თანასწორი თანასწორს, იგი დამოკიდებულია აგრეთვე მთელი მსოფლიოს ხალხთა აქტიურ ბრძოლაზე მშვიდობისათვის.

ახლა, მიუხედავად იმისა, რომ შეთანხმება კორეაში დაზავების შესახებ უკვე ხელმოწერილია, მისი ყველა დებულების სრული დაცვა და შესრულება, უეჭველია, წააწყდება დაბრკოლებებს. მთელი მსოფლიოს ადამიანები კვლავ უაღრესად ფხიზელნი უნდა იყვნენ ამერიკის მხარის ზოგიერთი აგრესიული ელემენტების მიმართ, განსაკუთრებით სამხრეთ კორეაში ლი სინ მანის მიმართ, რომელიც სულ უფრო თავხედურად იღაშქრებს დაზავების წინააღმდეგ...

ახლანდელი პრობლემის გადაჭრა მთლიანად დამოკიდებულია იმაზე, კვლავ ხელს შეუწყობენ შეერთებული შტატები ლი სინ მანის ბანდას, თუ ისინი მზად არიან შეცვალონ თავიანთი პოზიცია...

უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ზოგიერთი გავლენიანი პირი დღემდე აშკარად უპერდა მხარს ლი სინ მანის საბოტაჟურ საქმიანობას; შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა დალესმა 22 ივლისს განცხადებაც კი გამოაქვეყნა, სადაც იგი აქებს ლი სინ მანის უგუნურ გამოსვლებს, რომელიც მოითხოვდა კორეაში დაზავების ჩაფუშვას, და აცხადებს, რომ მას „უფლება აქვს ასე მოიქცეს“. ამ განცხადებაში დალესი აღიარებს, რომ ლი სინ მანი არ დათანხმდა დაზავებაზე და „დარეზერვა თავისი მთავრობის პოზიცია“.

კორეა-ჩინეთის მხარის პოზიცია კორეაში დაზავების მიმართ ნათელი და მტკიცეა, წერს შემდეგ გაზეთი. კორეა-ჩინეთის მხარე მტკიცედ შეასრულებს და დაიცავს დაზავების შესახებ შეთანხმების ყველა პირობას.

ეს ცხადყოფს, თუ რა სერიოზულად ეკიდება კორეა-ჩინეთის მხარე დაზავების შესახებ შეთანხმების ზედმიწევნით შესრულების უზრუნველყოფას. თუ ლი სინ მანის ხროვამ და სამხრეთ კორეის არმიამ გაბედეს და დაიწყეს მოქმედება დაზავების შესახებ შეთანხმების შესრულების ჩასაფუშავად, როგორც მათ ამის შესახებ განაცხადეს, მაშინ კორეა-ჩინეთის სახალხო ჯარები აგრესიის წინააღმდეგ და თავდაცვის მიზნით, უეჭველია, დაიწყებენ მოქმედებას დაზავების შესახებ შეთანხმებისა და იმ დაპირებების შესაბამისად, რომლებიც ამერიკის მხარემ მოგვცა 11 და 13 ივლისს, რათა უზრუნველყონ შეთანხმების ეფექტიანი შესრულება. უეჭველია, კორეელ და ჩინელ ხალხებს არა სურთ, რომ ეს მოხდეს. ისინი მოითხოვენ, რომ მთელმა მსოფლიომ მთელი სერიოზულობით ადვილოს თვალყური იმას, რომ ამერიკის მხარემ მტკიცე კონტროლი გაუწიოს ლი სინ მანის ხროვას, რომელიც მთლიანად ექვემდებარება ამერიკის მხარეს და რომლის მიმართ მას შეუძლია განახორციელოს კონტროლი.

რასაკვირველია, მომავალში კორეის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგების მისაღწევად უნდა განხორციელდეს კონსულტაციები უფრო მაღალი დონის პოლიტიკურ კონფერენციაზე. ამასთან დაკავშირებით კორეა-ჩინეთის მხარე მტკიცედ მოითხოვს, რომ მთელი უცხოთის ჯარები, ჩინელ სახალხო მოხალისეთა ჩათვლით, გაყვანილ იქნან კორეიდან და რომ კორეის საკითხი მოწესრიგდეს მშვიდობიანი საშუალებებით ისე, რომ თვით კორეელ ხალხს მიეცეს შესაძლებლობა მოაწესრიგოს კორეის საკითხი, რათა გააადვილოს ერთიანი, დემოკრატიული, მშვიდობისმოყვარე და დამოუკიდებელი ახალი კორეის შექმნა. ასეთია სერიოზული ამოცანა, რომელიც დგას უფრო მაღალი დონის პოლიტიკური კონფერენციის წინაშე. ეს უფრო მაღალი დონის პოლიტიკური კონფერენცია უნდა მოეწყოს სამი თვის განმავლობაში მას შემდეგ, რაც შეთანხმება დაზავების შესახებ ძალაში შევა იმ რეკომენდაციების შესაბამისად, რომლებსაც დაინტერესებულ მთავრობებს მასცემენ კორეის ომის მონაწილე ორივე მხარის სარდლები. ეს კონფერენცია უნდა წარიმართოს თანასწორობისა და ურთიერთ განხილვის საფუძველზე. მხოლოდ ამ გზით შეიძლება მიღწეულ იქნას კარგი შედეგები. კორეელ და ჩინელ ხალხებს, აგრეთვე მთელი მსოფლიოს ყველა მშვიდობისმოყვარე ადამიანს დიდი იმედი აქვთ, რომ ეს პოლიტიკური კონფერენცია შეუფერხებლად ჩაიკლის და მას მოჰყვება საკითხის გადაჭრა. ჩვენ ბოლომდე ვიბრძოლებთ კორეის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის. თუ რომელიმე აგრესიული ელემენტები გაბედავენ პოლიტიკური კონფერენციით ისარგებლონ დაზავების საბოტაჟისა და კონფერენციის ჩაფუშვისათვის, ისინი, უეჭველია, წააწყდებიან უძლიერეს წინააღმდეგობას კორეელი და ჩინელი ხალხების, აგრეთვე მსოფლიოს ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის მხრივ, და კიდევ უფრო მძიმე მარცხს განიცდიან.

17 აგვისტოს მოწვეულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესია

ნიუ-იორკი, 28 ივლისი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის თავმჯდომარემ პერსონმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოებს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც ნათქვამია, რომ „გენერალური ასამბლეის (VII) 705 რეზოლუციის 3 პუნქტის შესაბამისად, გენერალური ასამბლეის ახლანდელი სესია კვლავ მოწვეულია გაერთიანებული ერების მთავარ ბინაში 17 აგვისტოს დღის 3 საათზე იმისათვის, რომ განაახლოს კორეის საკითხის განხილვა“.

კორეა-ჩინეთის მხარის მიმართვა ინდოეთის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, შვეიცარიისა და შვეიცარიისადმი

პეკინი, 28 ივლისი. (საკდესი). კორეა-ჩინეთის მხარემ ხუთ ნეიტრალურ სახელმწიფოს — ინდოეთს, პოლონეთს, ჩეხოსლოვაკიას, შვეიცარიასა და შვეიცარიას — გაუგზავნა წერილი სამხრეთ კორეის ლისინმანელთა მთავრობის იმ განცხადებასთან დაკავშირებით, რომ იგი სამხრეთ კორეის ტერიტორიაზე შესვლის ნებას არ მისცემს ინდოეთის, პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლებს — სამხედრო ტყვეების სარეპატრიაციო ნეიტრალური კომისიის წევრებს, აგრეთვე ინდოეთის შეიარაღებულ ძალებს, ინდოეთის წითელი ჯვრის პერსონალს და კორეისა და ჩინეთის წარმომადგენლებს, რომლებმაც ახსნაგანმარტებითი და სამეთვალყურეო ფუნქციები უნდა შეასრულონ. ეს წარმომადგენლები უნდა ჩავიდნენ სამხრეთ კორეაში იმ მოვალეობათა შესასრულებლად, რომლებიც მათ დაკისრებული აქვთ სამხედრო ტყვეების სარეპატრიაციო ნეიტრალური კომისიის რწმუნებათა შესახებ იმ დებულების შესაბამისად, რომელზეც შეთანხმდნენ და ხელი მოაწერეს კორეა-ჩინეთის მხარემ და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეიარაღებული ძალების სარდლობამ.

კორეა-ჩინეთის მხარის განცხადებაში ნათქვამია:

1. კორეა-ჩინეთის მხარე არ ცნობს სამხრეთ-კორეელ ლისინმანელთა მთავრობის განცხადებას, ვინაიდან იგი მკვეთრად ეწინააღმდეგება ორივე მხარის მიერ მიღწეულ შეთანხმებას.

2. კორეა-ჩინეთის მხარე მტკიცედ იცავს იმ აზრს, რომ სამხედრო ტყვეების სარეპატრიაციო ნეიტრალური კომისიის რწმუნებათა შესახებ შეთანხმების შესაბამისად, ნეიტრალური სახელმწიფოების პერსონალს და კორეა-ჩინეთის მხარის წარმომადგენლებს უფლება აქვთ შევიდნენ სამხრეთ კორეის ტერიტორიაზე და ისინი უნდა დაიცვან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეიარაღებულმა ძალებმა, მათ შორის სამხრეთ კორეის არმიამ, რათა შესაძლებლობა ჰქონდეთ შეასრულონ რწმუნებათა შესახებ დებულებით გათვალისწინებული ფუნქციები. მაშასადამე, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეიარაღებულ ძალებს, მათ შორის სამხრეთ კორეის არმიას, არ შეუძლიათ უარი თქვან თავიანთ იმ მოვალეობაზე, რომ უზრუნველყონ ამ პერსონალის დაცვა.

გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური გამგეობის სამდივნოს განცხადება

ბერლინი, 28 ივლისი. (საკდესი). აღნ-ის საგენტომ დღეს დიუსელდორფიდან გადასცა გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური გამგეობის სამდივნოს განცხადება კორეაში დროებითი ზავის დადების გამო. ამ განცხადებაში აღნიშნულია, რომ კორეაში დროებითი ზავის დადება კორეელი ხალხისა და ჩინელ მოხალისეთა დიდი გამარჯვებაა, მთელი მსოფლიოს ყველა მშვიდობისმოყვარე ადამიანის დიდი გამარჯვებაა.

კორეაში დროებითი ზავის დადებას, ნათქვამია განცხადებაში, დიდი მნიშვნელობა აქვს გერმანელი ხალხისათვის. იგი ძლიერ ბიძგს აძლევს მოძრაობას გერმანიის საკითხის მშვიდობიანი გადაჭრისათვის.

აღნიშნავს რა, რომ ყველა გერმანელის გადაუდებელი მოთხოვნაა სრულიად გერმანიის შეთანხმების მიღწევა სრულიად გერმანიის არჩევნების შესახებ, სრულიად გერმანიის მთავრობის შექმნისა და გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადების შესახებ, გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური გამგეობის სამდივნო აცხადებს:

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წინადადება სრულიად გერმანიის თათბირის შესახებ აღარ უნდა დარჩეს უპასუხოდ. კორეა ასწავლის თვითეულ გერმანელს, რომ მოლაპარაკებისა და შეთანხმების გზა, რომელსაც განუწყვეტლივ მოითხოვს გერმანიის კომუნისტური პარტია, სწორი გზაა.

ინდოეთის პარლამენტმა უნდობლობა გამოუცხადა დე გასპერის მთავრობას

რომი, 28 ივლისი. (საკდესი). ფრანს პრესის საგენტო რომიდან იუწყება, რომ დე გასპერის მთავრობა დამხობილ იქნა დეპუტატთა პალატაში კენჭისყრის შედეგად. მთავრობისადმი ნდობის წინააღმდეგ ხმა მისცა 282 დეპუტატმა, ნდობის სასარგებლოდ — 263 დეპუტატმა. 37 დეპუტატმა კენჭისყრაში თავი შეიკავა.

ლეიბორისტთა რეზოლუცია თემთა პალატაში შეიარაღების ხარჯების შესახებ

ლონდონი, 28 ივლისი. (საკდესი). პრესის ცნობებით, პარლამენტის ლეიბორისტმა წევრებმა ემრის ჰიუზმა და ჯეიმს ჰედსონმა თემთა პალატაში შეიტანეს რეზოლუცია, რომელიც მოუწოდებს მთავრობას „გადასინჯოს თავდაცვის უზარმაზარი ხარჯები, რომლებიც მძიმე ტვირთად აწვება ინგლისის მრეწველობას, იწვევს ცხოვრების დონის დაქვეითებას და ვერ უზრუნველყოფს სამოქალაქო მოსახლეობის სათანადო დაცვას თანამედროვე ომის პირობებში“.

ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნვა კომუნისტური პარტიის კანონია

სახელმწიფო დახმარება მრავალშვილიან დედებს

ყოველწლიურად ასიათასობით მანეთ ფულად დახმარებას იღებენ სახელმწიფოსაგან ქუთაისის რაიონის მრავალშვილიანი და მარტოხელა დედები. შარშან მათ სახელმწიფოსაგან დახმარების სახით მიიღეს 702.835 მანეთი, აქედან მარტო მრავალშვილიან დედებს მიეცა 672.753 მანეთი.

წელს შვიდი თვის განმავლობაში მრავალშვილიანმა და მარტოხელა დედებმა უკვე მიიღეს 460 ათას მანეთზე მეტი.

დიდი თანხები მიიღეს მრავალშვილიანმა კოლმეურნე ქალებმა გ. აფრიდონიძემ, ლ. სიმსივემ, ქ. ქვარაკაძემ, გ. ჯავახაძემ, ტ. ბოჭორიშვილმა და სხვებმა.

ამჟამად რაიონში ათასამდე მრავალშვილიანი დედაა. მიმდინარე წელს 29 მრავალშვილიანი დედა დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით.

ჩვენს კურორტებზე

მთიანი კურორტები ბორჯომი, წაღვერი, ბაკურიანი და სხვ. მრავალ დამსვენებელს იზიდავს ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან შესანიშნავი ჰავით, წიწვიანი ტყეებით, საუცხო მინერალური წყლებით. აქ მათ განკარგულებაშია საუკეთესოდ მოწყობილი სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები, სადაც მოიპოვება ყველაფერი, რაც საჭიროა გაჯანსაღებისა და დასვენებისათვის.



სურათზე: ზევით— საქართველოს პროფსაბჭოს წაღვერის დასასვენებელი სახლი, სადაც ამჟამად 400-ზე მეტი კაცი ისვენებს; მარჯვნივ — ბორჯომის მინერალურ წყაროსთან.

ფოტო გ. ვახტანგაძისა.

გრძელვადიანი კრედიტი კოლმეურნეობებს

სახოფლო-სამეურნეო ბანკის ქარელის განყოფილებამ მიმდინარე წელს კოლმეურნეობებს უნდა მისცეს 1.850.000 მანეთი გრძელვადიანი კრედიტი. სოფელ ბებნისის კოლმეურნეობამ ფერმის ბინების მშენებლობისათვის უკვე მიიღო 40.000 მანეთი, მოხისის კოლმეურნეობამ — 29 ათასი და სხვ.

სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

„ბ“ კლასი

„ბ“ კლასის ოსტატ ფეხბურთელთა კოლექტივების ასპარეზობა ქვეჯგუფებში დასასრულს უახლოვდება. უკანასკნელი შეხვედრები ხასიათდება საინტერესო ბრძოლით, ზოგჯერ მოულოდნელი შედეგებით.

პირველ ქვეჯგუფში ერევნის „დინამომ“, რომელიც დიდხანს ინარჩუნებდა ლიდერობას, უკანასკნელ ორ შეჯიბრებაში სამი ქულა დაკარგა და გათამაშების ცხრილში მეორე ადგილზე გადაინაცვლა. ერევნელმა ფეხბურთელებმა წაგება შეჯიბრება ფრუნზეს „ისკრასთან“ 0:1 და ფრედ (0:0) დაამთავრეს თამაში ალმა-ატის „დინამოსთან“.

თბილისის „სპარტაკის“ ახალგაზრდა ფეხბურთელთა კოლექტივმა მოიგო შეხვედრა ქ. ლენინაბადის გუნდთან ანგარიშით 3:1 და 17 ქულით გათამაშების ცხრილში პირველი ადგილი დაიკავა. პირველ ქვეჯგუფში დანარჩენ შეხვედრათა შედეგები ასეთია: „დინამო“ (ალმა-ატა) — „ნეფტიანიკი“ (ბაქო) 2:1, „სპარტაკი“ (ტაშკენტი) — „ტორპედო“ (დონის-როსტოვი) 0:2, „ისკრა“ (ფრუნზე) — „ნეფტიანიკი“ (ბაქო) 0:5.

მეორე ქვეჯგუფში გათამაშების ლიდერია მინსკის „დინამო“. მინსკელმა ფეხბურთელებმა მორიგი შეჯიბრება ფრედ (1:1) დაამთავრეს ივანოვოს „ზნამიასთან“. დანარჩენი შეხვედრები დამთავრდა ასეთი ანგარიშით: „ბურევესტნიკი“ (კიშინიოვი) — „სპარტაკი“ (კალინინი) 3:2, „მეტალურგი“ (ოდესა) — „კალევი“ (ტალინი) 2:0, „ზენიტი“ (მოსკოვი) — „კრასნაია ზვეზდა“ (პეტროზავოდსკი) 2:1, „ხიმიკი“ (მოსკოვი) — „დაუგავა“ (რიგა) 3:0.

მეხუთე ქვეჯგუფში პირველი დამარცხება განიცადა ლიდერმა — სტალინოს „შახტიორმა“. მან გორკის „ტორპედოსთან“ წააგო შეჯიბრება ანგარიშით 2:3. ზაპოროჟიეს „მეტალურგმა“ წაიგო შეხვედრა სტალინგრადის „ტორპედოსთან“ 1:2, დნეპროპეტროვსკის „მეტალურგმა“ — ჩელიაბინსკის „ავანგარდთან“ 2:3.

ქრონიკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. სტეფანე პავლეს-ძე კირსანოვი დანიშნა სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ნიდერლანდში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. გრიგოლ ტიტეს-ძე ზაიცევი გაათავისუფლა ნიდერლანდში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

რედაქტორი დ. მჟელიშვილი.

საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს 1953-54 სასწავლო წლისათვის შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:

1. ფიზიკის კათედრის გამგე — პროფესორი ან დოცენტი, 2. მცენარეთა ფიზიოლოგიის კათედრის გამგე — დოცენტი, 3. ინგლისური ენის უფროსი მასწავლებელი — 1, 4. გერმანული ენის უფროსი მასწავლებელი — 1.

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველებს შემოაქვთ განცხადება ინსტიტუტის დირექტორის სახელზე შემდეგი საბუთების დართვით: კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, ავტობიოგრაფია, უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომის ასლი — ნოტარიუსის მიერ შემოწმებული, ატესტატის და დიპლომის ასლები წოდებასა და ხარისხში დამტკიცების შესახებ — ნოტარიუსის მიერ შემოწმებული, სამეცნიერო შრომების სია, დახასიათება უკანასკნელი სამუშაოდან.

განცხადების შეტანის ვადა 15 აგვისტო.

სახელმწიფო დაზღვევა აწარმოებს სიცოცხლის სხვადასხვა სახეობის ნებაყოფლობით დაზღვევას

სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს ერთი ან რამდენიმე სახეობის დაზღვევაზე სხვადასხვა ვადით და სხვადასხვა თანხით.

დაზღვევის ხელშეკრულებათა დასადებად მიმართეთ სახდაზღვევის ინსპექციას ან გამოიძახეთ შინ სახდაზღვევის აგენტი.

სახდაზღვევის სამმართველო საქართველოს სს რესპუბლიკაში.

შვილები მარო, იულია, მარგო, მიხეილ გაბრიჩიძეები, სიძეები გ. ტოფაძე, ა. ჯღარკავა, შვილიშვილები ეუეუნა, ეთერ ტოფაძეები იუწყებიან **ივლიტა ოთხების ასულ გაბრიჩიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 2-VIII ქ. ტყიბულში. გამოსვენება მახარაძის ქ. № 13.

მეუღლე ელპიდა, და პიღასი, ძმები ალექსანდრე, ვლადიმერ, გრიგოლ, რძლები ნადია, ანეტა, სონია, სიძე გ. სულაქველიძე შვილებით იუწყებიან საქართველოს სს რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლის **კორნელი პორფირეს-ძე ჯუღელის** გარდაცვალებას. გამოსვენება 30-VII, 6 ს. საბჭოს ქ. № 130.

ძმები რომან, ლავრენტი, ევგენი, პოლიკო, რძლები პელო, ლუსია, კატო, თინა შვილებით იუწყებიან **ვლადიმერ მიქაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 1-VIII, 8 ს. გამოსვენება 2-VIII, 5 ს. ორჯონიკიძის ქ. № 77.

ბიძაშვილები ვანო, კოტე, ფოკა, დომენტი, შალვა, კონდრატი, მიხეილ გოგუები ოჯახებით იუწყებიან **ბენო ვასილის-ძე გოგუას** გარდაცვალებას.

ბიძაშვილები მარო, მიხეილ, ალექსანდრე, პაშა, ნინო, კლარა ცქიფურიშვილები, რძლები ზეინაბ ჯანგულაშვილი, ქ. დათიაშვილი, სიძეები მ. ზადიშვილი, გ. ღიბრაძე, ს. წიკლაური, ა. ოქრუაშვილი შვილებით იუწყებიან **გიორგი ოსეფის-ძე ცქიფურიშვილის** გარდაცვალებას.

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეებისა — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი—3-06-88, ტელეფონები განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 3-81-84, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-57-61, მრეწველობისა და ტრანსპორტის და ხოფლის მეურნეობის 3-20-43, კულტურისა და ყოფაცხოვრების და საქმეთა მმართველობის—3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, უცხოეთის ინფორმაციისა და კორესპონდენტთა ქსელის — 3-80-83, ადგილობრივი ინფორმაციის — 3-16-90, წერილების — 3-73-24, განცხადებების — 3-51-81, გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობის დირექტორის — 3-65-41, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

უე 03471 პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“.